წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. ოთხშაბათი, 23 გიორგობისთვე 1916 წ. № 251

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რეზე პეტიტით ღირს 15 [illegible] კნელზე—10 კ., [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი წლიურად დღის:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პროვინციაში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თებერვლიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხარიტონ შანშიაშვილი.

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა.

## ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები სრული აკადემიური გამოცემა სურათებით

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა.

წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ: ს. გორგაძის, ნ. დუბროვსკის, ი. მეუნარგიასი, გრ. რობაქიძესი, დ. უზნაძის.

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალი ავტოგრაფით.

სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ქურული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა.

**წიგნი გამოვა დაახლოვებით თებერვლის დამდეგს. ხელის მოწერა დაიწყება დეკემბრის პირველიდან.**

(1—257—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163)

ოთხშაბათს, 23 გიორგობისთვეს,
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## კვალ და კვალ

კომედია 3 მოქმედებად.

წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს.
სტუმრები საზოგადო წესით. (1—259—1)

ქ. თბილისში დაარსდა

## მელნის ქარხანა „ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს, ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს დ. სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.
მელანი ახლის გადახალებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება ადგილობრივ თუ გაგზავნით.
**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.
(თ.—228—თ.)

ექიმი
## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

კრომბზოლის ახვლედიანისა

ექიმი-დოსტაქარი
## ბ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთაწმის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთაწმის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
## კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი
## პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

## სათათბიროს გახსნის გამო

სათათბიროს მუშაობა განსაკუთრებულ პირობებში შესწყდა: მოდუნებულ მდგომარეობიდან აქტივათ გამოსული სათათბირო ყოველივე კომპრომისს უარჰყოფდა და არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობის შეცვლას დაჟინებით ითხოვდა.

3 ივნისის ჩუმი და წყნარი სათათბირო ცეცხლად აენთო და მძაფრად დაეჯახა ზევიდან დამყურე მთავრობას.

შტიურმერისა და პროტოპოპოვის კაბინეტისათვის შეუძლებელი გახდა გამწვავებულ მდგომარეობის წესიერ კალაპოტში ჩაყენება და სათათბიროს გაცხარების უმაღლეს მომენტში იგი დათხოვნილ იქმნა.

შექმნილ მდგომარეობის გამოსარკვევად...

ორ მოპირდაპირეში ერთ-ერთი უნდა გადასულიყო პოლიტიკურ ლიანდაგიდან, ან შეთანხმებით გაერიგებიათ საქმე.

მთელი ერთი კვირის განმავლობაში ცენტრი საზოგადოების ყურადღებისა ახალ მინისტრთა თავმჯდომარეზე იყო მიპყრობილი.

სათათბიროს მიერ შექმნილი მდგომარეობა განახლებულ კაბინეტის მოწვევას ითხოვდა და პრესაშიაც ჩნდებოდნენ გვარები ახალ კაბინეტთან დაკავშირებულნი.

მაგრამ 19 გიორგობისთვეს, სათათბიროს გახსნისას, მთავრობა, მინისტრთა თავმჯდომარისა და ერთ ახალ მინისტრის გარდა, რომელსაც არავითარი ცვლილება არ შეაქვს მდგომარეობაში, ისევ ძველი შემადგენლობით წარსდგა სახალხო წარმომადგენლების წინაშე.

ტრეპოვის ტრადიციული დეკლარაციის უმთავრესი მუხლები უკვე მაშინ რამოდენადმე გამოირკვა, როდესაც იგი მეფის სადგომიდან დაბრუნდა და პატარა განსხვავებით სათათბიროს ტრიბუნაზედ, მრავალჯერ განცხადებული დეკლარაციათა განმეორებაა გამარჯვების აუცილებლობით, საკანონმდებლო დაწესებულებათა საქმიან მუშაობის საჭიროების აღიარებით და მომავალ სამუშაოს მთელი რიგის ჩამოთვლით ცხადდებოდნენ სათათბიროს წინაშე ყველა წარსული მინისტრები, მაგრამ სიტყვა მათი მხოლოდ თავრიდის სასახლეში ისმოდა, მათ უწყებებს კი ისევ ძველი წიგნები რჩებოდათ.

ასეთი სახის დეკლარაციის დაფასება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც საქმიანობის მსურველი პრემიერის მუშაობა აშკარა გახდება.

დღეს დღეობით კი მისი დეკლარაცია მდგომარეობას სრულებით არ სცვლის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის მიერ გამოთქმულ მთავრობისა და საკანონმდებლო დაწესებულებათა საერთო მუშაობის სურვილს.

მაგრამ მარტო ერთი განცხადება მინისტრთა თავმჯდომარისა, მთავრობის დღევანდელ შემადგენლობის მიხედვით სათათბიროს ვერ დაარწმუნებს, რადგან უკანასკნელის კატეგორიული მოთხოვნილება სამინისტროს შეცვლის შესახებ, სრულებით დაუკმაყოფილებელი რჩება და არსებულ მდგომარეობაში, როდესაც პირობანი შეთანხმებული მუშაობისა მოსპობილია, მარტო ერთი ტრეპოვის სურვილს არავითარი რეალი ფასი არა აქვს.

მთავრობის დეკლარაცია, რომ მოდუნებულ მდგომარეობიდან გამოსულ სათათბიროს არ დააკმაყოფილებს, ეს იქიდანა სჩანს, რომ პროგრესიულ ბლოკს საპასუხო დეკლარაციაზედ უარი უთქვამს და სათათბიროს პასუხი ფრაქციათა კერძო გამოსვლებით იქნება გამოთქმული.

ოქტომბრისტებს და „კადეტებს“ ტრეპოვის გარეგნულად ლამაზი და მრავალმეტყველი, მაგრამ არსებითად არაფრის მთქმელი, სიტყვა ერთნაირად ვერ აალაპარაკებს; და თუ ამ რამოდენიმე ხნის წინეთ, პროგრესიულ ბლოკში შეურიგებელმა უთანხმოებამ იჩინა თავი, დღევანდელმა მდგომარეობამ უფრო უნდა გაამწვავოს იგი. მთავრობა და სათათბირო როგორ განეწყობა ერთმანეთს ჯერჯერობით გამოურკვეველია; გარდამწყვეტი მნიშვნელობა უსათუოდ ექნება იმას, თუ როგორ მიიღებს პროგრესიული ბლოკის მემარჯვენე ნაწილი მთავრობის განცხადებას დ. შესძლებს თუ არა თვით ტრეპოვის კაბინეტი დეკლარაციაში გამოთქმულნი სურვილნი განამტკიცოს.

ლ. ჯაფარიძე.

## ტრაგიკული გრძნობა ნ. ბარათაშვილის ლირიკაში

(დასასრული)

გრძნობა, რომელიც ტრაგიზმში სჭარბობს, არის ტანჯვა შეერთებული სიდიადესთან: იბრძვის, იტანჯება და ბოლოს იღუპება არა უბრალო, საშუალო ადამიანი, არამედ არაჩვეულებრივი პიროვნება, ლიადი თვით შეცოდებასა და დანაშაულობაში. ბარათაშვილის ტრაგიზმი, რომელსაც თითქოს არავითარი გარეშე მიზეზი არა აქვს, განსაკუთრებულ პესიმისტურს ელფერს აძლევს ამ ქვეყნიურს არსებობას: რა ქვეყანაა ის ქვეყანა, სადაც ტანჯვა და ტრაგიკული განადგურება აუცილებელი ხვედრია ყოველ დიად არსებისა, რომელიც თითქო ყველაზე უფრო ღირსია ბედნიერებისა და კმაყოფილებისა. მაგრამ თუმცა ეს ტრაგიზმი მსოფლიო ყოფნის ბნელს და საშიშს მხარეს ააშკარავებს, ყოველი ჩვენგანი მის განცდაში ერთგვარ სიამოვნებას გრძნობს.

ეს არის ტანჯვის სიტკბოება ანუ „ტანჯვის სამოთხე“, როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობს ერთს თავის ლექსში: ერთი ამოცანა ჩვენი ფსიხიური ბუნების. ადამიანი ხშირად სიტკბოებას ჰხედავს არა მარტო თავის მტრისა, არამედ საყვარელი არსების ან კიდევ თავისივე თავის ტანჯვაში; ხშირად პირდაპირ ულმობელია თავის მახლობელის ან თავისივე პიროვნების წინაშე, შეუბრალებლად ატიტვლებს თავის ძველ ჭრილობებს, აახლებს განვლილ ტკივილებს, ეშვება უკვე გამთელებული სულის სიღრმეში და ჰქმნის ახალს წყაროს ტანჯვისა და მწუხარებისა. ჩემის აზრით, ამ მოვლენის ახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ იმ შეხედულებით ვიხელმძღვანელებთ, რომ ადამიანური ცხოვრების მიზანს პიროვნების გაფართოვება შეადგენს და არა შეუშფოთებელი ბედნიერება. და მართლაც, თითქმის არსად არა ჰგრძნობს ადამიანი ისე აშკარად თავისი პიროვნების გაფართოებას, როგორც ტანჯვასა და ტრაგიკულ ბედის განცდაში. აქ, სადაც საშიში გარეგნული ძალა ან შინაგანი განხეთქილება ადამიანს სრულს განადგურებას უქადის, მას შეუძლიან მთელი თავისი თავისებურობა და სიძლიერე გამოაშკარაოს, თავისი პიროვნება უმაღლეს საფეხურზე აიყვანოს. ტანჯვა ფასსა სდებს და აკეთილშობილებს უსაზიზღრესს არსებასაც კი: თუ მას შეუძლიან გამოიჩინოს როდისმე რაიმე ადამიანური ღირებულება, ამას ის ყოველს შემთხვევაში მაშინ იზამს, როცა იტანჯება და იღუპება. ტრაგიკული განსაცდელი უდიდესი და უტყუარი საზომია პიროვნების ავკარგიანობის, მისი სიმხდალისა და სულმოკლეობისა ან მისი გმირობისა და სულდიდობისა: დეზდემონა სინაზისა და სიყვარულის განუზომლობას მაშინ იჩენს, როცა საშინელი კატასტროფა მოახლოვებულია, მაკბეტის დანაშაული მაშინ ხდება ადამიანურად გასაგები და მისატევებელი, როცა სინიდისის ქენჯნა და სულიერი გათიშვა შეუძლებლადა ჰხდის მის არსებობას და ღუპავს მტერთან ბრძოლაში. ისტორიულს პირებს შორის რობესპიერმა, დანტონმა და ნაპოლეონმა უდიდესი მხარეები თავიანთ ბუნებისა ტრაგიკულს კატასტროფაში გამოაშკარავეს და ამით თავიანთი მრავალ-მხრივი ნაკლულევანებანი ჩაჩრდილეს: ნაპოლეონმა თავისი სამხედრო გენიოსობა ლეიპციგის დამარცხების შემდეგ აიყვანა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ის შეიძლება თავის უბრწყინვალესს გამარჯვებაშიაც არ ასულა.

აქ, ტრაგიკულს საფრთხესა და ტანჯვაში ჰრძნობს მე თავის ბატონობის სფეროს გაფართოვებას იმ საზღვრებამდი, რომელიც მისაწვდომია საზოგადოდ მომაკვდავისთვის. ამიტომ პირველად ზოგჯერ მზადაა ერთს დიადს მომენტს ბედნიერებაც შესწიროს და თვით ცხოვრებაც. ამით აიხსნება ის ერთის შეხედვით უცნაური გარემოება, რომ დიადი პიროვნება ბარათაშვილის მხედარივით გაურბის მშვიდობიან კერას, ტკბილ-მოუბარ სატრფოს, უზრუნველ-ყოფილს არსებობას, რომელიც უშფოთველად დამთავრდებოდა წინაპართა საფლავებს შორის დამარხვით და უკან დარჩენილ მახლობელთა დატირებით, და თავგანწირულების მღელვარე ზღვაში სტოპავს იმის საძებნელად, რაც მას არ დაუკარგავს, ბედშავი იმის გამო, რომ მან ბევრი დაკარგა.

ბარათაშვილის „მერანი“ დიადი მეს ტრაგიზმია, რომელიც ეძებს არა ბედნიერებას, არამედ თავის პიროვნების უსაზღვროდ გაფართოვებას, სცდილობს თავის ფარგალით მსოფლიო მსვლელობა შემოზღუდოს, თავის ბატონობას უზენაესი ძალნი დაუმორჩილოს, გულის მესაიდუმლედ თანამავალნი ვარსკვლავნი გახადოს, ხოლო ჰაერისუფლად და უბედურების თანამოზიარედ ქარიშხალი და ელვა ჰქვა. ეს არის ტრაგედია ადამიანისა, რომელიც უძლეველ, არაადამიანური ვნებათა ღელვის ექსტაზში ლამობს გულში ჩაიკრას და განუშორებლივ შეერთოს მთელი სამყარო, წაშალოს საზღვრები პიროვნულსა და უაზროვნოს შორის.

მაგრამ არსებითად მეობისთვის ყოვლად შეუძლებელია საზღვრებიდან თავის დაღწევა: ყოველი ახალი საზღვარი, რომელსაც მეობა ჰქმნი თავის მისწრაფებაში აბსოლუტისადმი, ისევე პირადული, თავისებური და განუსაზღვრელია, როგორიც ძველი იყო. ამიტომ ბარათაშვილის მხედრის მისწრაფება უსათუოდ დამარცხებით უნდა დამთავრდეს.

უწინარეს ყოვლისა მეორე პიროვნება აბსოლუტური და გარდაუვალი ზღუდეა მომაკვდავ არსებისთვის. ამ უკანასკნელს შეუძლიან მოსპოს სფერო სხვისი ბატონობისა, ან დაუქვემდებაროს თავის გავლენას, გაანადგუროს მისი მატერიული კეთილდღეობა, დაეპატრონოს თვით მის აზრებს, ნების ყოფას, მოქმედებებს, დაიმორჩილოს მისი უიდუმლესი ზრახვანი და გულისთქმანი, ან მიწის ზურგიდან აღგავოს მისი არსებობა,—მისი განსხვავებული, განუმეორებელი ყოფნის ცენტრი მაინც მიუწდომელი, დარჩება მისთვის. მიტომ, რომ პიროვნების საძირკველს შეადგენს არა ესა თუ ის მატერიალური ურთიერთობა, არა ესა თუ ის სულიერი წყობილება, შეხედულებათა, ცოდნათა და გამოცდილებათა სისტემა, რომელსაც ადვილად შეუძლიან ათასჯერ განმეორდეს, არამედ აუწერელი, მიუწდომელი გრძნობა მეობისა, რომელსაც ყოველ ჩვენგანს თან დასდევს აზროვნებაშიაც და უაზრობაშიც, მოქმედებაშიც და უმოქმედობაშიც, სიფხიზლეშიც და ოცნებაშიც, ნების ლტოლვილებაშიც და მოდუნებაშიც.

მეორე მნიშვნელოვანი ზღუდე, რომელსაც ვერასოდეს ვერ გადაამბიჯებს პიროვნება, არის დროების მიერ შექმნილი საზღვრები. ადამიანისთვის საშინელი და მტანჯველია არა მარტო აზრი დოებითი განსაზღვრულობისა, არა მარტო სიკვდილის იდეა, თვით დროების ვითარებაში ამას გარდაც იმალება რამდენიმე მომენტი, რომელიც ხშირად უიმისოდაც სწამლავს ამ ქვეყნიურს ცხოვრებას. ერთს მათგანს კარგა ხანია ყურადღება მიაქცია ფილოსოფიურმა აზროვნებამ: ყოველს სიამოვნებას და ბედნიერებას რეალური ფასი და ღირებულება აქვს, როცა ის აწმყოს ეკუთვნის; განვლილი სიამოვნება და ბედნიერება უკვე აჩრდილია სინამდვილისა. მომავალ დროის დაპირებებსა და იმედებს აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როდისმე აწმყო სინამდვილის სისხლსა და ხორცს შეისხამენ. ამგვარად ადამიანურ ცხოვრების სიმდიდრე, მრავალ მხრიანობა და ბედნიერება აწმყოს ჩარჩოებშია მოთავსებული. რადაა თვით ეს აწმყო? ბეწვის ხიდი, წარსულისა და მყობადობის თვალუწვდენელს ოკეანეთ შორის გადებული, მოჩვენება, რომლისაკენ მუდმივ ამაოდ ხელს იწვდის ადამიანი. ხოლო, რადგან არსებითად ბედნიერება მხოლოდ აწმყოშია, აწმყო კი მოჩვენებაა, რომლის დასახელებასაც ვერ ასწრებს ადამიანი, რომ ის უკვე დაბრუნებულად გამქრალია, თვით ბედნიერებასაც აჩრდილისებრ ელფერი ეძლევა. და სწორედ ჩვენი არსებობის ამ მხარეს მიაქცია ყურადღება ბარათაშვილმა თავის ფილოსოფიურ ლექსში: „ვპოვე ტაძარი, შესაფარი...“

ეს არის ტრაგედია სოფლის ეღლვით მაშვრალი მწირისა, რომელსაც ბედნიერებამ ელვასავით ერთის წუთით გაუღიმა, უდიდესი მშვენიერება გაუნათა და დაანახვა. გაუღიმა ერთის წუთით, რომ შემდეგ სამუდამოდ გამქრალიყო და ამით მისი ობლობა და მიუსაფრობა კიდევ უფრო აუტანელი გაეხადა:

> მაგრამ საწუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს?
> განქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
> მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,
> მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!“

თუმცა ნათესაობა შოპენჰაუერის ნებისყოფის მეტაფიზიკასა და ბარათაშვილის ლირიკულს ტრაგიზმს შორის თვალსაჩინოა, მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია წინააღმდეგობაც მათ შორის. გერმანელ პესსიმისტისთვის ისტორიულს მსვლელობას არავითარი აზრი და რეალური შინაარსი არა აქვს: არსებითად ის, რასაც კაცობრიობის ისტორიულს განვითარებას უწოდებენ, წინსვლა კი არა, უმიზნო, შმაგი ტრიალია ერთს გარდაუვალს წრეში, უთვალავი განმეორება ერთისა და იმავე ტრაგი-კომედიისა, რომელშიაც მხოლოდ შემთხვევითი, უმნიშვნელო როლები და გარეგნული დეკორაცია იცვლება, ძირითადი მეტაფიზიკური აზრი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უაზრობა კი დასაბამითვე შეურყეველი რჩება.

ხელოვნება, განსაკუთრებით ტრაგედია, შოპენჰაუერის პირით, სწორედ ფარდასა ჰხდის იმ ჭეშმარიტებას, რომ ინდივიდუალური არსებობის ერთად-ერთს ნამდვილს მიზანს თავისვე თავის ძირში აღმოფხვრა შეადგენს. ტრაგიკული გმირი ხანგრძლივ ბრძოლისა და ტანჯვისა შემდეგ სცნობს, რომ ის იღუპება არა ამა თუ იმ შეცოდების ან დანაშაულისთვის, არა ამა თუ იმ პირად მოქმედებისთვის, არამედ თვით მსოფლიო ცოდვის სიმძიმის გამო. ამგვარად ტრაგიკული სული რეზიგნაციისკენ უთითებს: ის გვასწავლის თვალი დავუხუჭოთ ამ ქვეყნიურს სილამაზეს, ყური არ ვათხოვოთ მომხიბლავ ხმებს, ხელი არ გავუწოდოთ მის მოჩვენებებს, რომელნიც ჩაგვითრევენ ცხოვრების ტრიალში, არამედ ესქილოსის, სოფოკლის და შექსპირის გმირებივით უარი ვსთქვათ ნებისყოფაზედ.

ბარათაშვილის პოეზიიდან ინდივიდუალიზმისა შესახებ ამის საწინააღმდეგო შეხედულობა გამოკრთის. ეს მგოსანი პირველი ქართველი მოციქულია ძლიერის ინდივიდუალიზმისა, დიადი ტრაგიკული პიროვნებისა, რომელიც თავის დანიშნულებას ჰხედავს არა არსებობის გაყინვასა და განადგურებაში, არამედ მის გამდიდრებაში და გამრავალფერებაში. თავის მოუსვენარს ძიებაში მან სამყაროში აღმოაჩინა გენიოსური ინდივიდუალობა, დიადი მე, რათა შემდეგ ამავე მეში პირიქით მთელი ქვეყნის მრავალმხრივობა დაენახვებინა და მგოსანმა რამოდენიმეთ მართლაც შესძლო დაენახვებინა რომ ძლიერი, შემომქმედი პიროვნება გრძნობათა და გულისთქმათა დაუშრეტელი წყაროა, რომელსაც შეუძლიან ცხოველჰყოს ამ ქვეყნიური უსულდგმულო არსებობა. ციურ მნათობთა და კოსმიურ ძალთა თუ ვერა, მან მამაკვდავთ მაინც გვაგრძნობინა რაოდენი საუნჯე იმალება ინდივიდუალურს ყოფნაში, რა მშვენიერია უდიდესი ადამიანობა: ამით მან ღირსება და ფასი დაუბრუნა პიროვნებას,

რომელსაც გარეშე ტლანქი ძალნი განადგურებით ემუქრებიან, მისი არსებობა ძვირფასი გახადა და მის საბედისწერო ბრძოლისთვის გული აგვიცემა.

არის რაღაც გამოუთქმელად ამმაღლებელი ამ ძლიერებაში, რომელიც თვით ტრაგიკულს გათიშვაში ცხოვრებას ზურგს არ უბრუნებს, სულმოკლედ ქედს არ იხრის თვით სიკვდილის წინაშეც და შთამომავლობას მედგრად უთითებს იმ გზისაკენ, რომელზედაც მან ამაყად შესდგა ფეხი: „სრული ცხოვრება, ფართე არსებობა, ძლიერი პიროვნება!“

გერონტი ქიქოძე.

ლაიპციგი. 1909 წ.

# ნ. ბარათაშვილი

ასი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს ცას პირველად მიაპყრო თვალი „კაეშნიან“ პოეზიის პირველმა ქართველმა პოეტმა. ასი წელიწადია მას შემდეგ, რაც საქვეყნოდ იშვა ის ადამიანი, რომლის ცხოვრებაც მწუხრის ჰარმონიად გარდაიქმნა და ტანჯულ ერის ტანჯულ ბედს საერთო საკაცობრიო „კაეშნის“ ჰანგით უმღერა. ვინ იქნება ისეთი ადამიანი, რომელიც კი თავის სულიერ განვითარებაში ეძებს საამქვეყნო ცხოვრების დანიშნულებას, რომ ერთხელ მაინც მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში არ ჩაუფიქრდეს იმ დიად და მძიმე საკითხს, რომლის გადაწყვეტას მთელი სამყაროს საუკეთესო შვილნი მთელ თავის სიცოცხლეს ანდომებდნენ. თითქმის ქვეყნის დასაბამის დღიდან ადამიანის გონებას ვერ ძალუძს შეურიგდეს იმ სასტიკ მომენტს, რომელიც ასე დაუნდობლად, მოულოდნელად, ერთგვარ და ათი ათასი წლობით უცვლელ კანონის სახით ეპატრონება ადამიანის ცხოვრებას. თანამედროვე ადამიანის განსპეტაკებული და წარმატებული გონება, რომელიც ამ საკითხის კვლევა-ძიებაში რელიგიურ საძირკველს ვეღარ ეყრდნობა, თითქმით უნიადაგოდ დარჩენილი, მხოლოდ და მეცნიერების საშუალებით სცდილობს ჰპოვოს ის, რაც განყენებულ აზროვნებამ ვერა ჰპოვა. მაგრამ მეცნიერება მეტად მძიმედ ვითარდება, იგი ვერ აკმაყოფილებს ადამიანის განყენებულ აზროვნების სურვილს და „სიცოცხლის“ მიზანი დღესაც კაცობრიობისათვის გამოუცნობია.

სიკვდილი—გარდაქმნვა ცოცხალ, მმოძრავ, გრძნობით და გონებით აღჭურვილ ქმნილებისა—ლეშად, უძრავ, უგრძნობ-უგონებო ნივთიერებად, რომელიც დროთა ბრუნვით სრულიად გაჰქრება დედამიწის ზურგიდან—აი ეს კედელი ვერ განსჭვრიტა ვერც მეცნიერებამ, ვერც ფილოსოფიამ, ვერც მწერლობამ და პოეზიამ. თვით უძლიერესი მოაზროვნენიც კი, მთელს სიცოცხლეს „წუთი-სოფლის“ დანიშნულების საკითხს რომ ანდომებენ,—სიკვდილის მოახლოვებისას დამარცხებულნი რელიგიურ სიმბოლიზმს ემონებიან.

პოეზია, ეს უუნაზესი გამომხატველი ადამიანის სულის სწრაფვათა და პოეტნი—გონებითა და გრძნობით სპეტაკნი—აქამომდე ამაოდ სცდილობენ განსჭვრიტონ სიცოცხლის და სიკვდილს შორის აღმართული მიუწდომელი კედელი, რათა ამცნონ ქვეყანას ეს შორეული, მიუწდომელი და გამოუცნობი „განყენებული ჭეშმარიტება“.

ზოგი მათგანი სტირს და ჰგოდებს ქვეყნისა და თავის გაჩენას, მანდილ მოსხმულ დედაკაცივით შესტირის ბედს, ადამიანისთვის ასეთი ულმობელი რომ არის, ზოგი სჭექს და გრგვინავს, თვით განგებას ემუქრება გამარჯვებით, სასტიკ შემქნელს სისასტიკითვე უპირებს გამკლავებას, ზოგიც ელამუნება ბუნების სიკეკლუცეს, მის მშვენებას და მასში ჰსურს ჰპოვოს „დიდი საკითხის გარდაწყვეტილება.

ასეთია „კაეშნიან მგოსანთა“ სულის კვეთება, ასეთი იყო ნიკ. ბარათაშვილისაც, რომელიც თვით ყმაწვილობიდანვე მთელი თავისი არსებით ჰგრძნობს სიცოცხლის ამაოებას, ცხოვრების არსებობის არარაობას, რომელიც უმაღლეს სიამეს, ჭეშმარიტ ბედნიერებას მხოლოდ იმაში ჰხედავს, რომ დამარხოს სულის მშვენიერება, გულისა და გრძნობის უმანკოება. აბა შეხედეთ ერთ მომენტს პოეტის სულიერ ცხოვრებისას: აი, იგი შუაღამისას უაზროდ და უმიზნოდ დაეხეტება სასაფლაოზე, უეცრად მოულოდნელად, თავისდა უნებურად გაჩნდა იგი „იმ ქვეყნის“ სამფლობელოში. ირგვლივ „ცოცხალი“ არავინ არის, სიკვდილი და სიჩუმე მეფობს გარშემო. მთვარის მკრთალი შუქი ოდნავ ანათებს მკვდართა სამყაროს და შორიდან ჩუმად მოისმის მტკვრის დუდუნი, თითქოს განუწყვეტელ სულთათანას უგალობებსო სამუდამოდ მიძინებულებს. და აი, სწორედ აქ, სასაფლაოზე, პოეტი მთელის თავისის არსებით ჰგრძნობს სიცოცხლის უმიზნობას და სასოწარკვეთილი ეკითხება განგებას: რისთვის, ვისთვის ან რა აზრით დაიბადნენ ისინი, ვინც ამ ჟამად მის ფეხ-ქვეშ მატლთა და ჭიაღუათა საკვებ საგნად გადაქცეულან?

და ეს საკითხია ის საკითხი, რომელიც მუდამ ჟამს აღმართულია პოეტის წინაშე: იგი უკარგავს მას „სულის სიმშვიდეს“ „გულით უნდო, სულით მახვრალი, ჭკუით ურწმუნო“, „ამ წუთი-სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო დაეძებს იგი საამქვეყნო სიცოცხლის საიდუმლოებას. მაგრამ გადიან წელნი, საუკუნენი, ბარათაშვილის სულის ღელვას დღესაც მრავალი, გონებითა და გრძნობით მაღალი ადამიანი უერთებს თავის „სულის ღელვას“, მაგრამ ამაოდ...

საამქვეყნო სიცოცხლის დასასრული, სამყაროს უკანასკნელი დღე ჯერ არავის გამოუცვნია, იგი ისევე წყვდიადით არის მოცული, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი: ამას კარგად ჰგრძნობს ბარათაშვილი და სწორედ მაშინ, როდესაც მის სულიერ ცხოვრებაში უფრო გარკვევით და მთელი თავისი სისასტიკით აღიმართება ხოლმე ეს საკითხი, იგი ჰგრძნობს ადამიანის გონების სისუსტეს და დამარცხებული გულს მხოლოდ იმით იქეთებს, რომ

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს,
„იყოს სოფელში და სოფლისთვის
არა იზრუნოს“.

შალვა ტატიშვილი.

# სიჭაბუკის მგოსანი

გინახავთ ჭაბუკი გულ-დათუთქული, თავ-დახრილი, თვალებ-დალულული, მკვნესარე?

გინახავთ ჭაბუკი ახლად ტუჩებ ამწვანებული, თვალებში სიცოცხლე რომ ფეთქავს უწყებს და ბაგენი კი ოხვრას აღმოჰხეთქავენ?

გინახავთ ჭაბუკი, რომელიც გმირობასა ჰფიქრობს და გული კი უტირის?

ახლად ფეხ-ადგმული სული სიცოცხლეს რომ ეძებს?

ვარსკვლავ-მთვარეს რომ ზიზღით შეჰყურებს და ცას კი უცინის?

ბედს და გაჩენის დღეს რომ იწყევლის და კაცობრიობის მომავლისათვის კი ბრძოლა ჰსურს?

თვით გულ-გატეხილი—ქვეყნის მანუგეშებელი?

გინახავთ ჭაბუკი, რომლის სულიც რაღაცას დაეძებს და თან ჰმგოსნობს?

აბა ჰკითხეთ ამისთანა ჭაბუკს,
რასა ოხრავს? რა აწუხებს?
სძულს ვინმე?
— მთელი ქვეყანა.
უყვარს ვინმე?
— მთელი ქვეყანა.
ჰყავს სატრფო?
ჰყავს.

მერე? როგორია ეს სატრფო? რა ჰქვიან მას? აქვს მას ხელები, თვალები, სახე, სხეული?

არ იცის ჭაბუკმა.

ეტრფის კი, მაგრამ ვის და რას?

„იმას“.

ეტრფის.

გინახავთ თვრამეტი წლის ჭაბუკი? მისი სულის აღმაფრენა?

ჭაბუკი მგოსანი, მისი მოქმედების სურვილი?

...„გასწი მერანო“...

„გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი,
გარდაიარე კლდენი და ღრენი“...

ბედს ებრძვის ასეთი ჭაბუკი. არრას ერიდება, არრის ეშინიან.

ებრძვის ბედს უანგარიშოდ, თავდაუჭერლად, გატაცებით. არასა ზოგავს. ჰლუპავს ყველაფერს—სიმშვიდეს, მამულს, აკლდება სწორთ და მეგობართ, სადაც დაუღამდება, იქ გაუთენდება, იქ იქნება მისი მიწა სამშობლო. ჰკარგავს თავის საფლავს, მამა-პაპათა სამარეს, სატრფოს ცრემლებს! სუყველაფერს გაჰსწირავს ჭაბუკი, ოღონდ გადაიაროს „ბედის სამზღვარი“, ბედს არ ემონება!

მონობა?!

რა საფიქრებელია! სიკვდილი სჯობიან.

დაე, მოჰკვდეს უპატრონოდ, ბედის ბასრი მახვილი კი მას ვერ შეაშინებს.

არც დაძაბუნება ვარგა.

...„და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს“.

ყურჩობა ბედისა, მოქმედება.

...მას ვაქებ, ვინცა თვისი სიცოცხლე
ისე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა...

მაშინ გაიკაფება გზა ფვალი და შემდეგ მომძეს სიბნელე გზისა გაუდავილდება და მისი შავი ბედის ჰუნე წინ გაუქროლდება.

—

გინახავთ უიმედო ჭაბუკი?

სიჭაბუკის მგოსანი?

სევდიანი რომ ჰზის წყლის პირად და ბუნების სილამაზეს რომ ისმენს?

ლბილ მდელოზე სანუგეშოდ რომ ცრემლსა ჰღვრის?

მას უცხო ბუნება გულში იხუტებს. ნელად მოღელავს, მოდუდუნებს ანკარა მდინარე, მის ზვირთებში ჰკრთის ლაჟვარდი ცის კამარა. მთვარე სხივებს აყრის მდინარის ზედა პირს და ჭაბუკის თვალებში იმზირება. მყუდროა ბუნება ჩუმი და მოწყენილი. და ჭაბუკი აქ, ლბილ მდელოზე, სანუგეშოდ ცრემლით ინამება. არ კი იცის, თუ ამ დროს მის წინაშე ჩვენი ცხოვრება რად არის ფუჭი და მხოლოდ ამაოება!?

ბოროტმა სულმა დაუკოდა გული და ეხლა ხმა იდუმალი აღარ ასვენებს. და

...„ოხვრა არის შვება უბედურისა“.

ამიტომ—...„დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულ-გრილად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან“... „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“

აბა შეჰხედეთ ამ ორ ჭაბუკს, ერთი, რომ იბრძვის და მომავლის იმედი აქვს, რომელიც რომ სამოქმედოდ იწვევს და მეორე—ცხოვრებაზე ხელი რომ აუღია და თავის მისაყრდნობიც არსად ეგულება!

ეს ორმაგი მოძრაობა სულისა ერთს ადამიანს ეკუთვნის.

—

გინახავთ შეყვარებული ჭაბუკი?

1838 წლის აგვისტოს 6-ა. სოფელ წყნეთში აივანზე ზის ჭაბუკი. მის წინ გაშლილია ვაკე. აგერ ვერის ხევი. მთვარის შუქს, რომ ანაოჭებს თავის ჩქრიალა ნაკეცებში. აგერ საბურთალო, სწორი გაშლილი ველი, მეფეთა საბურთაო ადგილი. აგერ, შორს ლურჯი ბუმბერაზები ძირ გადგმულნი ღონივრად სდგანან და სდუმან. მათს ქედზე ოდნავ სჩანს აშოტილი ნაძვები და ფიჭვები. მთვარის შუქით გაცრეცილ ცაზე ისინიც დინჯად სდგანან, ვით ბუმბერაზ მთების თითები. მათი სიშავე ღამისას ეურჩება. აგერ შორს, ამ მთების ძირად მძლავრად გაწოლილა მტკვარი—მრავალ დროების მოწმე. იგი უძრავია და მთვარის შუქზე ისე ელვარებს, როგორც ჩაძინებულ დევ-გმირის მუხლებზე მდებარე შიშველი ხმალი.

სძინავს ბუნებას, მშობელს სქვეყანას და სძინავს მტკვარსაც.

მხარ-მარჯვნივ შედედებულა თბილისის შენობათა სილუეტები. აქა-იქ ვარსკვლავებით გამოსჭვივიან მაშინდელ თბილისის ქუჩების იშვიათი ფარნები. ზოგი სახლიდან სინათლის მკრთალი ზოლი მოსჩანს.

სძინავს ბუნებას. იგი აქაც ისევე ჩუმია, როგორც იქ, წყლის პირდ იყო. მაგრამ აქ, აივანზე, „ის“ არის. და... ამით ყველაფერი იცვლება.

იქ, მდინარის პირად, ჩუმი ბუნება ჭაბუკს სევდის ცრემლებსა ჰგვრიდა, აქ კი... იგი ტრფობით ივსება.

ჭაბუკმა მგოსანმა აქ, წყნეთში, “იმის“ სიახლოვეს რამდენიმე დღე უნდა გაატაროს!

...„როგორი იქნება ეს დღეები! მაშ მოჰკვდი, ბზ!“...

აჟრჟოლებს ჭაბუკს.

შეჰყურებს

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველ ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიურს...“

ამ ფერს ჭაბუკი ხომ სიყრმიდან ეტრფოდა!

ეს ფერი საუცხოვოა. ეს ფერი იმის მშვენიერ თვალებშიაც „სიამით გამოჰკრთის“. და ჰფიცავს ჭაბუკი, რომ სხვა ფერს არ ოდეს ეტრფოს.

ან რად უნდა სხვა ფერი? ეს ფერი ხომ ბუნების ფერია—

სატრფოსი და ტრფობისა. მგოსანი ამ თვალებში ჰსჭვრეტს სამოთხესა და მათი ჭვრეტით იწვის ცეცხლითა.

როცა საბრძოლველად გააქანებს თავისს მერანს და ბედთან ბრძოლაში მოჰკვდება, მაშინ მშობელთა და სატრფოს ნაცვლად ცა ლურჯი დააფრქვევს ცრემლს.

მაშ არ ეტრფოს ცისა ფერს? ამ გამოურკვეველს, ცვალებადს, მაგრამ ულამაზესს?

და ეტრფის კიდეც.

მერე როგორ ეტრფის!

შეიშრობს ცრემლსა, ჰპირთ მანენბელს, გულსა დაიწვავს დასანაცრებელს და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს, შესწირავს სატრფოს, თვისსა სალოცველს. და ეუბნება მას:

მიყვარს შენი თვალები, მიბნედილები, ეშხისა ცეცხლით დაქანცულები, ვინ გაუძლებს შენის თვალების ძლიერებას, თუ იმ სიკვდილში, რომელსაც ეგენი აფრქვევენ, არ ჰსჭვრეტ თვით უკვდავებას. ოდესაც ნიავი ლამაზ დალალებს მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს, მაშინ ჩემს თვალებს შური აღაგზნებს. ნიავს შევნატრი და მშურს, რომ ნიავი და არა მე, გიშლის თმებს, ბროლ მკერდზე გაყრის. არა. არ მიკვირინო, სატრფოვ, შენს მგოსანს, გულის თქმა. ჩემი მოკვდავი ენა ვერ გამოსთქვამს ჩემსავე უკვდავ გრძნობათ.

შეჰსტრფის ჭაბუკი „იმას“.

ეს გახლავთ სიჭაბუკის მგოსანი.

სიცოცხლე და სიკვდილი,
ტრფობა და სიძულვილი,
სიხარული და ცრემლი,
ბრძოლა და იარაღის დაყრა,
სულის მგზნებარე ცეცხლი და სევდის ძაძა!

ყველაფერი ერთად არის მის სულში, მის არსებაში.

იგი არ არის მხოლოდ ვარამის მგოსანი.

იგი ახლად ფეხ-ადგმულ სულის მგოსანია.

სიჭაბუკის მგოსანი.

ი. ტატიშვილი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

მოლდავანის ბრძოლის ხაზს, მოყოლებული მდ. ტროტუშიდან მდ. ბუზეომდე, განსაკუთრებული და მასთანავე თითქმის დამოუკიდებელი ადგილი უკავია რუმინეთის წინაამდეგ დაწყებულ ოპერაციაში. ორივე ამ მდინარით წამოსული მოპირდაპირე ფოქშერის ველში გამოდის, სადაც მის მარცხენა ფრთას ჰფარავს მდ. სერეტი და მასთანვე საშუალებას აძლევს მარჯვენა ფრთით სამხრეთ-დასავლეთით დაეშოს და მთელი რუმინეთის ჯარს, რომელიც დიდ ვლახეთში მოქმედობს, გზები გადუჭრას და გარს შემოერტყას. სედანის გამეორებას სწორედ ეს მთის მწვერვალები უქადის რუმინელებს. უკანასკნელნი კარგად გრძნობენ ამას და, როგორც ოფიციალი მათი დეპეშები იტყობინებიან, თვითონვე იწყობენ ამ მიმართულებებით შეტევას, რომ ინიციატივა დროზე ხელთ იგდონ და მთელ ამ მიდამოებს საფუძვლიანად დაეპატრონონ. ამ ერთი კვირის განმავლობაში მოპირდაპირე უეჭველია განზრახ იყო გაჩუმებული და აქტიობას არ იჩენდა მოლდავანიის ბრძოლის ხაზზე. ჰფიქრობდა რუმინელები ისეთგვარ ილუზიებით ექვებნა, ვითომ მას აქედან არავითარი საფრთხე არ ელოდეს. მართლაც, დაარხეინებული მებრძოლი შესაძლოა ხელს აიღებდა აქ აქტიურ მოქმედებაზე და მთელ თავის ძალას ბუქარესტის მიდამოების დაცვას მოანდომებდა. რუმინელები ასე არ მოიქცნენ და თვითონვე დაიწყეს ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვან ადგილებში მოქმედება. ეს უკვე ორი დღეა აქ საშინელი ბრძოლა სწარმოებს. პირველ ხანად რუმინელებმა შესძლეს რამოდენიმე მანძილზე გაერეკა ავსტრო-გერმანელები, მაგრამ უკანასკნელებს მალე მაშველი ჯარები მიემატა და საშინელი კონტრ-იერიშების მეოხებით აიძულეს თავგანწირულ რუმინელებს უკან დაეხივნათ. ბრძოლა დღესაც სწარმოებს და თან უფრო და უფრო სასტიკ ხასიათს იღებს. შესაძლოა მოპირდაპირემ დასტოვოს კიდევაც რამდენიმე სიმაგრე და დროებით თავის საზღვრებისაკენ გადავიდეს, მაგრამ ამას უსათუოდ დროებითი ხასიათი ექმნება. ამგვარ მანევრით მოპირდაპირე შეეცდება ერთხელ კიდევ დაარწმუნოს რუმინელები, რომ მათ არავითარი განზრახვა არა აქვთ და არც ფიქრობენ ისეთ დიდს და მასთანვე სახიფათო ოპერაციის წარმოებას, როგორიც არის ფოქშერის ველში შეჭრა. ზემოდ მოყვანილი ჩვენი მოფიქრება შეიძლება არც მოხდეს და ავსტრო-გერმანელებმა ახლავე დაიწყონ ფართო იერიშები და შეეცადონ რუმინელების ბრძოლის ხაზის გარღვევას. მაგალითი უკვე გვაქვს რუმინეთის ოპერაციიდან. მკითხველებს ეხსომებათ, რომ მდ. ჟიუზე მოპირდაპირემ უცაბედათ პირი იბრუნა და უკან დახევა დაიწყო. რუმინელები მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ. ზოგიერთი სამხედრო მიმომხილველი რუმინელების ასეთ ნაბიჯს დიდს და გაბედულ ოპერაციის დასაწყისად სთვლიდა. მასთანვე გადაჭრით ამბობდნენ, ვითომ ახალ მოკავშირეს განზრახვა ჰქონოდეს ფალკენჰაინის ჯარისათვის ზურგიდან შემოევლო და მთებში ჩაეკეტა. ნამდვილად ავსტრიელებმა მოულოდნელად პირი იბრუნეს და სწორედ მდ. ჟიუზე გაშმაგებული იერიშებით ეკვეთნენ რუმინელებს, გაარღვიეს მათი ბრძოლის ხაზი, აიღეს სოფ. ბუმბეშტი და პატარა ვლახეთის ველში ჩამოვიდნენ. აქედან წამოსულმა მტერმა რაც მოიმოქმედა მას შემდეგ, ეს ხომ ახლა ყველამ კარგათ იცის. სწორედ ასეთივე ისტორია შეიძლება განმეორდეს დღეს მდ. ტროტუშზე და ოიტუზზე. თუ კი გერმანელები და ავსტრიელები აქ ველში ჩამოვლენ, მაშინ ოპერაცია სრულებით ახალ სახეს მიიღებს.

დიდ ვლახეთის ჩრდილოეთის ასპარეზზე რუმინელები პიტეშტ-ტირგოვისტის მიმართულებით უკან იხევენ. ამავე დროს მოპირდაპირეს მაშველი ჯარები მოსვლია და იერიშები განუახლებია ალექსანდრია-ბუქარესტის ხაზით და აუღია სოფ. გრადიშტე, რომელიც მდებარეობს ბუქარესტის სამხრეთით. ამ სოფლის დაპყრობით გენ. მაკენზენის ჯარის მარჯვენა ფრთა ბუქარესტს 15—20 ვერსით მიუახლოვდა. ოპერაციის მსვლელობა უკვე ნათელია ყველასათვის. გერმანელები და ავსტრიელები რუმინეთის ჯარს, რომელიც დიდ ვლახეთში მოქმედობს, წვერებით უვლიან. ჩრდილოეთით ისინი ემუქრებიან კლოეშტის, სამხრეთით კი ბუქარესტს. შემცდარია ის აზრი, ვითომ გერმანელების და ავსტრიელების მიერ დაწყებულ ოპერაციას მთავარ მიზნად რუმინელების დედა ქალაქის დაპყრობა ჰქონდეს დასახული. ქ. ბუქარესტის აღებას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება. დანამდვილებით კი ბრძოლის ველზე მოპირდაპირეს რუმინეთის ჯარის ბედიღბალი აინტერესებს. თუ გერმანელებმა დროზე შესძლეს ქ. ოლოეშტის აღება და ქ. ბუქარესტის თუ გინდ ბრძოლის ხაზიდან მოწყვეტა, მაშინ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდება რუმინელების ჯარი. უკანასკნელს სრულებით მოწყვეტილი ექნება რკინის გზები და უკან დახევა მხოლოდ შარაგზებით მოუხდება.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე, კირლიბაბის მიდამოებში და ტყიან კარპატებში დაწყებული ბრძოლა ადგილობრივ ხასიათს მაინც არ ჰკარგავს.

X.

# ომის დეპეშები

21 გიორგობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. სვინიუხას სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. ტერემპოვეცის მიდამოებში მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ. მდ. ბისტრიცაზე ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს და სოფ. კოსმაჩის მიდამოებში ტყვეებიც იგდეს ხელთ. ტყიან კარპატებში, ვორონტის სამხრეთ-დასავლეთით 6 ვერსზე ჩვენ მიერ დაჭერილ მაღლობებს მოპირდაპირემ ორჯელ თავგანწირვით შემოუტია, მაგრამ დაზარალებული უკანვე გავაბრუნეთ. კირლი-ბაბას ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთის მიდამოებში მოპირდაპირე იერიშებით მოდიოდა. ორი ზედიზედ მოტანილი იერიში მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ოგნოტის დასავლეთით ოსმალებმა 2 ბატალიონით შემოგვიტიეს. მოპირდაპირის ძლიერი მოწინავე რაზმები ოგნოტის სამხრეთ-აღმოსავლეთით და მუშის აღმოსავლეთით შეეცადნენ წინ წამოწევას, მაგრამ მოვიგერიეთ. ბითლისის მიმართულებით იერიშით წამოსული ოსმალთა ბატალიონიც მოვიგერიეთ. ვანის ტბიდან ჩვენმა გემმა „პლასტუნმა“ ვასტანისაკენ მიმავალ აქლემების ქარავანს დაუშინა და ვასტანიდან მაშველად წამოსული 300 ცხენოსანი გაჰფანტა. ქამადანის მიმართულებით, ყაზვინის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, ს. შარაევოს მიდამოებში ოსმალების საფრენი დაეშო. რაკი ვეღარ აამოძრავეს, მფრინავებმა საფრენს ნავთი გადაასხეს და დასწვეს, თითონ კი მიეფარნენ.

**რუმინეთის ასპარეზი.** ტრანსილვანია. მდ. ტროტუშისა და სულტის ველებში მარჯვეთ მიგვქონდა იერიშები და ავიღეთ სოფ. ასეული და სულტა. ხელთ ვიგდეთ 800 ტყვე და ტყვიისმფრქვეველები.

**დუნაის ასპარეზი.** მდ. არგისის ველში მოპირდაპირის იერიშები არა სცხრება. ამ მიდამოებში შეჯახებას დიდი ბრძოლის სახე ეძლევა. მოპირდაპირის ცხენოსანი ჯარი სამხრეთიდან ზურგით უვლიდა რუმინელების ჯარს, რომელიც იძულებული გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაეხია. ბუქარესტის დასავლეთით, რუსეთის მაშველი ჯარის მისვლის შემდეგ, საქმე მარჯვედ მიდის. ბულგარელ-გერმანელთა ჯარი იძულებულია უკან დაიწიოს. აქ ხელთ ვიგდეთ 26 ზარბაზანი, ტყვეები და დავლა.

22 გიორგობისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ბელვოვის მიდამოებში გერმანელმა მზვერავებმა ჩვენი მავთულების ხლართებთან მოახლოვება სცადეს, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. ტყიან კარპატებში მაღლობების ხელში ჩასაგდებად ბრძოლა გრძელდება. აქ ჩვენმა ჯარმა, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, ვაქკაცურის შეტევით აიღო მაღლობი იაბლონიცის სამხრეთ-დასავლეთით 3 ვერსზე.

**კავკასიის ასპარეზი.** მთელ ბრძოლის ხაზზე სიწყნარეა, ადგილ-ადგილ არის სროლა.

**რუმინეთის ასპარეზი.** ტროტუშის ჩრდილოეთით მოპირდაპირემ მედგარის თავგანწირვით შემოუტია ჩვენს ჯარს ახლად დაპყრობილ მაღლობებზე; ორი შემოტევა შევაჩერეთ. ტროტუშის სამხრეთით ცხარე ბრძოლა გრძელდება. პიტეშტი-ტორგოვისიას გზით რუმინელებმა, მტრის გამუდმებულ იერიშების გამო, უკან დაიხიეს. ალექსანდრია-ბუქარესტის მიმართულებით და მის სამხრეთით ცხარე ბრძოლაა. აქ მოპირდაპირემ ერთხანს მოგერიება იწყო და უკანაც დაიხია, მაგრამ მაშველი ჯარის მიღებისათანავე კვლავ შემოგვიტია და ბუქარესტის სამხრეთით მდებარე სოფ. გრადიშტე აიღო. ბუქარესტის სამხრეთ-დასავლეთით რუმინელების რაზმები მტრის ჯარს ზურგიდან მოექცნენ და იერიშით მივიდნენ. მოპირდაპირემ უკან დაიწია. დუნაიზე თოფების სროლაა.

დობრუჯში მოპირდაპირემ იერიშით წამოსვლა სცადა, მაგრამ ზარბაზნისა და თოფების სროლით შევაჩერეთ.

21 გიორგობისთვე.

**ბუქარესტი.** ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. მოლდავიის დასავლეთ საზღვრებზე და აგრეთვე მუნტენის ჩრდილოეთით ზარბაზნების სროლა და ქვეითა ჯარის ბრძოლაა. უამინდობა სამხედრო მოქმედებას აფერხებს. დემბოვიცის ველში ჩვენი ჯარი იძულებული გახდა სამხრეთისაკენ დაეხია.

დასავლეთის ასპარეზი. პიტეშტის მიდამოებში მოპირდაპირემ მედგრად შემოუტია ჩვენს ჯარს და იძულებული ჰყო ცოტა უკან დაეხია. გლავაჩეკსა და ნეაილის ველებში მედგარი და ცხარე ბრძოლაა.

სამხრეთის ასპარეზი. დობრუჯში იერიში მივიტანეთ მტრის სანგრებზე, მავთულების ხლართს მივუახლოვდით და ადგილ-ადგილ გავარღვიეთ კიდეც.

**რომი.** მტრის მფრინავებმა ვიჩენცას ყუმბარები დაუშინეს. ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა. ყუმბარებით მხოლოდ სანტა-კარენის ეკლესია დაზიანდა.

**ლონდონი.** საადმირალოს ცნობა. საფრანგეთის ასპარეზზე ჩვენმა საზღვაო საფრენებმა მოპირდაპირის გაქანებულ სამხედრო მატარებელს ყუმბარები დაუშინეს. ლაკომოტივზე მყოფნი დაჭრილნი ძირს გადმოცვივდნენ. გაქანებული მატარებელი უხელმძღვანელოდ განაგრძობდა გზას.

21 გიორგობისთვე.

**ბუქარესტი.** მოლდავიის დასავლეთ საზღვარსა და მუნტენის ჩრდილოეთისაკენ ზარბაზნების სროლა და ქვეითა ჯარის მოქმედებაა. აქ ხელთ ვიგდეთ 120 ტყვე. დემამოვიცას ველში ცვლილება არ მომხდარა.

დასავლეთის ასპარეზი. ჩვენს მარჯვენა ფრთაზე მოპირდაპირეს მედგარი და თავგანწირული იერიშები მოჰქონდათ და ჩვენს ჯარს აწვებოდა მდ. გალავოჩეკესა და ნეაილოვეს მხარეს ტიტისაკენ.

დრაგონეშტის მიდამოებში ოსმალეთის დივიზია დავამარცხეთ. კუმპატეზესა და მიხიილეშტის მიდამოებში გერმანელ-ბულგარელთა ჯარი დავამარცხეთ და სამხრეთისაკენ დავახევინეთ. აქ ხელთ ვიგდეთ ტყვეები და სამხედრო მოწყობილება, რომლის რაოდენობაც ჯერ არ შეუმოწმებიათ.

# საბერძნეთის ამოძრავება

(პეტ. დეპ. სააგენტო)

21 გიორგობისთვე

**ათინა.** 18 გიორგობისთვეს, შუადღის 12 საათზე, პირეიაში გადასხეს ფრანგ-ინგლისელ-იტალიელთა მეზღვაურები. ფრანგი მეზღვაურები მშვიდობიანად გადვიდნენ ნაპირზე. შემდეგ

კი არეულობა მოხდა. პნიკსზე ბერძნებმა თოფის სროლა აუტეხეს ინგლისელ მეზღვაურებს. ესროდნენ აგრეთვე იტალიელებს, რომელნიც რუხის ყაზარმაში დაბინავდნენ. ზეპეიონს, სადაც ფრანგი მეზღვაურები იყვნენ, ბერძნებმა 2 ზარბაზანიც ესროლეს მაღლობებიდან. რამდენიმე მეზღვაური დაიჭრა. ფრანგებს არ უპასუხნიათ. მოკავშირეთა ქვეითა ჯარი ქალაქში არ შეუყვანიათ. ათინა ღელავს. მაღაზიები დაკეტილია.

**ათინა.** მდგომარეობა თანდათან რთულდება. ნაშუადღევის 2 საათზე მოკავშირეთა დესპანები გილემე, დემიდოვი და ელიოტი საფრანგეთის მისსიიდან ზეპეიონს გაემგზავრნენ, სადაც ადმირალი ფურნიე იმყოფება. ქალაქის სხვა და სხვა უბანში სროლა იყო თოფებისა და ტყვიისმფრქვევლებისა. ადამიანის მსხვერპლიც იყო. ათინა ალყაშემორტყმულ ქალაქს ემსგავსება. რეზერვისტები ფორმით თუ ერისკაცულად გამოწყობილნი ქუჩა-ქუჩა დადიან და თოფებს უშენენ ვენიზელოსის მომხრეებს და საფრანგეთ-ინგლისის საელჩოებს.

**ათინა.** ღამის 11 საათზე საფრანგეთის საელჩოსთან სროლა გრძელდებოდა. ქუჩაში მოკავშირეთა დესპანების თათბირი მოხდა. იტალიის ელჩიც დაესწრო. მოკავშირეთა სამხედრო გემებმა ზეპეიონს ზარბაზნები დაუშინეს ბერძნების ზარბაზნების ჩასაჩუმებლად. შუაღამისას სროლა შესწყდა.

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტო"-ს ათინიდან ატყობინებენ: მეფე კონსტანტინემ ღვინობისთვეში აღუთქვა მოკავშირეებს არტილერიის დათმობა, რაც კი საბერძნეთის თოფხანებში ინახებოდა. გავიდა ვადა პირველი ნაწილის მიღებისა და ადმირალმა ფურნიემ ათინაში მეზღვაურები გადასხა მოსალოდნელ არეულობის დასაცხრობად. საბერძნეთის ჯარმა მტრული განწყობილება გამოიჩინეს ფრანგ მეზღვაურების მიმართ, რომელნიც ზეპეინში მოთავსდნენ. ზეპეინს დაუშინეს თოფები, ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნებიც. რამდენიმე მოკლული და დაჭრილია. მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გადაჭრილი ზომები მიიღონ მომხდარ ამბების გამო სრული დაკმაყოფილების მისაღებად.

**პარიზი.** საბერძნეთის ბატონიშვილი ანდრია მეტისმეტად შეურიგებელი რამ გამოდგა და მოკავშირეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მტკიცე უარზე სდგას. იგი პირიქით აქეზებს კიდეც აფიცრებს წინააღმდეგობის გაწევაში.

**პარიზი.** მოკავშირე სახელმწიფოები სცდილობენ სრული დაკმაყოფილება მიიღონ 18 გიორგობისთვეს ათინაში მომხდარ ამბების გამო.

„მატენ"-ს მარსელიდან დეპეშით ატყობინებენ: მოკავშირე სახელმწიფოთა გადაწყვეტილებით, მარსელში მყოფ საბერძნეთის გემებს ყადაღა დაადეს.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ: 19 ნოემბერს სალამოს 6 საათზე ცეცხლი ჩანელდა და ბოლოს სულაც ჩაქრა. მოკავშირეთა ჯარი პირეიდან გაიყვანეს. საბერძნეთის მთავრობამ ადმირალ ფურნიეს 6 სამთო ბატარეა შეაძლია, მაგრამ მოკავშირეთა ელჩებს თავიანთ მთავრობებისაგან ინსტრუქციები მოუვიდათ. მოკავშირეთა მთავრობანი იმ აზრისა არიან, რომ მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ მარტო სამხედრო მასალის გადაცემით ვერ გადასწყდება და საჭიროა, რომ საბერძნეთის მთავრობამ მდგომარეობის შესაფერად დააკმაყოფილოს მოკავშირეები.

**ათინა.** ათინის ტელეგრაფის სააგენტო იუწყება: ათინაში მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფელად მთავრობამ სასტიკი ზომები იხმარა. წესიერება დამყარდა. 20 ნოემბრის ღამემ მშვიდად ჩაიარა. დღეს ქალაქი ჩვეულებრივად გამოიყურება. ქალაქის კომენდანტის ბრძანებით კერძო პირთ იარაღი უნდა ჩაბარონ. რაკი მთავრობა ადმირალ ფურნიეს დაჰპირდა ბატარეებს ჩაგაბარებთო, ფრანგთა რაზმი ქალაქიდან გავიდა. იგი ხალხმა და ბერძნების ჯარმა სალამით გააცილა. გუშინ დატუსაღეს ისინი, ვინც სახლის ფანჯრებიდან ისროდა. დატუსაღებულია 60 კაცი. გუშინ სროლის დროს დაიჭრა 3 ჯარისკაცი. ერის კაცთაგანი არავინ დაშავებულა. გუშინ და დღეს მეფის ადიუტანტმა პოლკოვნიკმა სკუზურესმა დაჭრილი ფრანგი ჯარისკაცები ინახულა და მეფის სალამი გადასცა. დაჭრილებს დიდი ყურადღებით უვლიან. დახოცილ ბერძენ აფიცრებსა და ჯარისკაცებს დღეს ასაფლავებენ. ფრანგ და ბერძენ აფიცერთა სამხედრო კომისიას, რომელმაც შეტაკების მიზეზი უნდა გამოიკვლიოს, თავისი აზრი ჯერ არ გამოუთქვამს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## უდიდესი ცეპელინები.

უკანასკნელ დროს ფრიდრიხს-ჰაფენში აშენებენ უდიდეს ცეპელინებს, რომელთაც სიგრძე 240 ადლი აქვთ, სიმაღლე 23 ადლი. ასეთ ცეპელინზე 4 დიდი ნავია (წინად 2 იყო ხოლმე), ჯავშანგადაკრულია, ზედვე გამართულია ბაქანი ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვეველების დასადგმელად. რვა მამოძრავებელი აქვს, რომელთა ძალაც 4—5 ათას ცხენის ღონეს უდრის. ამ ცეპელინს შეუძლიან ერთ ადგილას გაჩერებული თავის გარშემო შემოტრიალდეს $1\frac{1}{2}$ წუთში. ეს ცეპელინი სამიათას ადლის სიმაღლეზე ჰფრენს და საათში 130 ვერსს გაივლის. მას შეუძლიან ზიდოს: 30 კაცი, საჭირო ზეთი, ბენზინი, წყალი და 200 ფუთამდე ასაფეთქებელი მასალა.

ფრიდრიხს-ჰაფენის საფრენების ქარხანაში სწრაფი მუშაობაა დიდ და პატარა ცეპელინების დასამზადებლად. ხანდისხან კვირაში 2—3 ცეპელინი მიემატება ხოლმე. ცეპელინებს საცდელად ავარჯიშებენ ხოლმე ღამე და მერე პირდაპირ ბრძოლის ველისაკენ უკრავენ თავს. რომ მათი გამოცდა არ დაგვიანდეს, ქარხნებში ნაწილ-ნაწილად დამზადებულ მანქანებს საცდელად ამუშავებენ რამდენიმე დღე-ღამეს.

ცეპელინების გარდა აქვე ამზადებენ ინჟინერ კობერის სახღვაო საფრენებს.

ამ ცოტა ხანში გრაფმა ცეპელინმა ამერიკის შეერთებულ შტატებში უზარმაზარი ადგილი შეიძინა, სადაც უდიდესი ქარხნის აგებას აპირებს „ცეპელინების" დასამზადებლად. გერმანელებს განუზრახავთ დიდძალი „ცეპელინები" დაამზადონ, რომ ამერიკასა და ევროპას შუა მოწესრიგებული მიმოსვლა გამართოს.

## რუმინეთი

მოპირდაპირის ჯარმა რუმინეთს ხელი დაჰკრია და დიდი ნაწილი მიწისა ჩამოუჭრა. „რ. ს."-ს სამხედრო მიმომხილველის მიხაილოვსკის ვარაუდით, მოპირდაპირეს ხელთ უგდია რუმინეთის სამეფოს ნათოხალი ადგილი, დაახლოვებით, 34 ითასი ოთხკუთხი ვერსი, სადაც ომის დაწყებამდე 2 მილიონი მცხოვრები ყოფილა (რუმინეთში სულ 8 მილიონი მცხოვრებია). მცირე ვლახეთში 25 მილიონი ფუთი ხორბალი მოდის წელიწადში.

### ახალი გზა სტამბოლისაკენ.

„რეჩ"-ის ცნობით გერმანელებს ვლახეთში 8—9 კორპუსი ჰყოლიათ. ასეთი მრავალ რიცხოვანი ჯარი სრულებითაც არა სჭირდება ამ პატარა ასპარეზს და თუ გერმანელებს მაინც აქ მოაზღვავეს ამდენი ჯარი, მხოლოდ იმისთვის, რომ დიდმნიშვნელობას აძლევენ სტამბოლისაკენ ახალი გზის დაჭერას. ეს გზა ალიუტის ველზე მიდის გერმანშტატიდან კორაბიუზე დუნაისკენ. დუნაის გაღმა ლიანდაგი სწყდება, ოცი ვერსის ქვემოთ კვლავ იწყება ლიანდაგი, რომელიც ბალკანეთიდან სოფიისაკენ მიდის ბირკოვის ხეობით.

## გერმანეთი

გერმანეთი თადარიგს იჭერს, რომ გაზაფხულისათვის ორ მილიონ ნახევარი მეომარი მაინც კიდევ გამოიყვანოს. გაიწვევენ 17—50 წლამდე.

# უკანასკნელი ცნობები

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტრეპოვმა სათათბიროში განაცხადა, რომ ომის გათავების შემდეგ კონსტანტინეპოლი და მისი სრუტეები რუსეთისა იქმნებაო. ამ განცხადებას თითქმის რუსეთის ყველა გაზეთი აღტაცებით შეხვდა.**

—

**რადგან საბერძნეთმა მოკავშირეებს უარი შეუთვალა იარაღს არ დავყრიო, მოკავშირეებმა გადასწყვიტეს საბერძნეთს საზღვაო ალყა შემოარტყან.**

—

**გერმანელებს და ავსტრიელებს ვლახეთიდან აუარებელი სურსათ-საკვები მასალა გამოაქვთ. რუმინელებმა მრავალი ხორბლის საწყობები დასწვეს.**

—

**„რუს. ინვალიდი" სწერს; ფალკენჰაინი თითქოს უცდიდა, თუ რუსების ძლიერი იერიში რა ნაყოფს გამოიღებდაო და ბუქარესტზე იერიში ჩრდილო აღმოსავლეთიდან შეაჩერაო. სამხრეთ-დასავლეთიდან ბუქარესტის შემოვლა მეტად სძნელო და სახიფათოც არის. ბუქარესტი დიდს სიმაგრეს წარმოადგენს. შესძლებენ თუ არა მოწინააღმდეგენი ბუქარესტის ალყის შემორტყმას, ჯერ არავინ იცის. ერთი კი ცხადია, რომ ბუქარესტი იმავე როლს ითამაშებს, როგორიც ვერდენმა ითამაშა. მოკავშირეებს დიდს სამსახურს გაუწევს.**

—

**შარლ ბენუას წერილს საფრანგეთში დიდი ყურადღება მიუქცევია. ბენუა მოკავშირეებს წინადადებას აძლევს შექმნან ცენტრალი ორგანო, რომელიც იქმნება უმაღლესი დაწესებულება მთავრობათა შორის.**

# ახალი ამბავი

### სასახლეში

**მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა თბ. მაზრის თ-დ აზნ. წინამძღოლი თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი, რომელიც დარბაზობის შემდეგ მათ უმაღლესობის მიერ მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

### ქართული დაწესებულებანი.

**უარი დახმარებაზე.** ქ. საქვ. საზ. გამგეობას გენ. თამამშევისაგან, რომელიც ლტოლვილთა საქმეს განაგებს კავკ. ფრონტზე, უარი მიუღია დაბრუნებულ ქართველ მაჰმადიანთა დახმარებაზე, იმ მოსაზრებით, რომ ბათომის კომიტეტის აზრით საქვ. მოქმ. საზოგადოების ცნობები მათ შესახებ ვითომდა ნამდვილს არ ეთანხმება. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში ბათომის ქალაქის მოურავიც, კრინიცკი, რომელიც ქართველ საზ. მიღებული ბრძანდება, დათანხმებულა ამ დადგენილებაზე.

**წერა-კითხვის საზოგადოების** სკოლების მეთვალყურე ბ-ნი გრ. ბურჭულაძე თბილისს დაბრუნდა და თავისი მოგზაურობის ანგარიშს წარუდგენს საზოგადოების გამგეობას. ბ-ნს ბურჭულაძეს დაუთვალიერებია საზოგადოების სკოლები: ბაქოსა, კავკავსა, ნალჩიკსა და გერგეთში. საზოგადოების ბაქოს განყოფილებას უკვე დაუარსებია სკოლა-თავშესაფარი, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ჯერჯერობით 6 ბავშვი ომისაგან დაზარალებულ ოჯახებიდან. კავკავის სკოლაში იქაურ განყოფილებას პარალელი კლასები გაუხსნია.

**სახალხო სკოლა და პროფესიონალი განათლება.** წარსულ შაბათს, 19 ამა თვეს, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის გამგეობას თათბირი ჰქონდა ბ-ნ ლ. ბოცვაძის რეფერატის შესახებ და სავსებით მოიწონა რეფერატის თეზისები, რომლებიც თავისს დროზე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში. გამგეობამ ამასთანავე საჭიროდ აღიარა ქართულ სასოსტატო სემინარიის დაარსება, რომელმაც შესაფერისად მომზადებული სახალხო მასწავლებლები უნდა აღზარდოს. ხარჯთ-აღრიცხვა სემინარიის დაარსებისა და შენახვისათვის შემუშავდება.

**სკოლის გახსნა.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ დეპეშა მიიღო ახალქალაქის რაიონულ განყ. გამგეობისაგან, რომ იქ დიდის ამბით უკურთხებიათ სკოლა სოფ. თოკში. ახლად დაარსებულ სკოლაში 40 ბავშვია მიღებული და 75 ჩაწერილი.

### ქალაქის დაწესებულებანი.

**ქალაქის საავადმყოფოში** 22 ამა თვეს ირიცხებოდნენ: ქუნთრუშიანი 258, ხუნაგიანი 36, ყვავილიანი 21, სახადიანი 114, საოფლიანი 342 და მუცელათი 8 კაცი.

### სხვა და სხვა ამბები.

**მგოსანი ნიკო ბარათაშვილი.** 21 ამა თვეს, დიდებულ პოეტის ნიკო ბარათაშვილის დაბადების 100 წლის თავზე, დიდუბის ეკლესიაში, რომლის გალავანში განისვენებს ნეშთი პოეტისა, გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. მწირველი ბრძანდებოდა გორის ეპისკოპოსი ანტონი ადგილობრივ სამღვდელოების თანამსახურებით. ეკლესიაში დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. არ დაჰკლებია არც ერთი ქართული დაწესებულების წარმომადგენელნი. გრძნობით აღსავსე სიტყვები წარმოთქვეს: ეპისკოპოსმა ანტონმა, ბ-ნმა ა. ჭუმბაძემ და ი. რატიშვილმა. იმავე დღეს სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში გაიმართა სასიქადულო პოეტის სახელის პატივსაცემად სალიტერატურო საღამო. იმოდენა ხალხი გამოცხადდა, რომ დარბაზმა ვერ დაიტია და ბევრნი უკან დაბრუნდნენ. საღამოს თავმჯდომარე იყო ბ-ნი გრ. რცხილაძე, რომელმაც შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და დაახასიათა მგოსნის პიროვნება. ბ-ნმა გერ. ქიქოძემ რეფერატი წაიკითხა, რომელშიაც სავსებით დაახასიათა პოეტის ნაწარმოები. საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა რეფერენტი. შემდეგ პოეტის რჩეული ლექსები წაიკითხეს თავ. ნ. ერისთავმა, ა. ჭუმბაძემ და ბ-ნმა ფაშალიშვილმა. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა. პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად დიდი საზეიმო საღამო გაიმართება „ახალი კლუბი"-ს დარბაზში.

**პანაშვიდი.** კვირას, 20 გიორგობისთვეს, ქართველ კათოლიკეთა მიძინების ტაძარში ქართულ სიტყვა კაზმულ საზოგადოების, გაზეთ „საქართველოსა" და „სახალხო ფურცლის" მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი გამოჩენილ პოლონელ მწერლის და მამულიშვილის ჰენრიკ სენკევიჩის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს მრავალი საზოგადოება დაესწრო, აგრეთვე სიტყვა კაზმულ და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნი, და „საქართველოს" და „სახალხო ფურცლის" თანამშრომელნი. პანაშვიდის წინ ქართველ კათოლიკეთა მოძღვარმა მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა.

**ჰენრიკ სენკევიჩის** გარდაცვალების გამო ჩვენმა რედაქციამ პოლონელთა კოლოს პეტროგრადში თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა.

**გერონტი ქიქოძის მოხსენება.** გერონტი ქიქოძე აპირებს ბარათაშვილის საღამოზე სამეურნეო ბანკის დარბაზში წაკითხული თავისი მოხსენება გააფართოოს და უფრო მოხერხებულ ადგილას წაიკითხოს. შემდეგ ეს მოხსენება დაიბეჭდება.

**მომხმარებელ საზოგადოების „მეურნის"** თავმჯდომარემ ნ. ე. წვერავამ იყიდა ალდაში აღნიშნულ საზოგადოებისათვის 2 ვაგონი ბრინჯი. საზოგადოება მოელის ამ დღეებში 1 ვაგ. თეთრ ფქვილს და 1 ვაგონ დაფქვილ მარილს.

**ნორმალური დასვენება.** 20 ამა თვეს ხელოსანთა გამგეობაში კრება ჰქონდათ ხელოსანთა ცეხების დეპუტატებს. თავმჯდომარეობდა ხელოსანთა გამგეობის მოურავი ბ-ნი ფარსეღოვი. კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რომ შესცვალოს საგანგებო კომისიის დადგენილება შესახებ მუშაობის დროს რაოდენობისა სახელოსნოებში. კრება სახელდობრ თხოულობს, რომ ნაცვლად ათი საათის მუშაობისა, რაიცა კომისიამ დაადგინა, დროთა განსაკუთრებულ ვითარების გამო, დაწესებულ იქმნას 12 საათის მუშაობა დღე ღამის განმავლობაში, 2 საათის გამოკლებით დასასვენებლად და საჭმლის მისაღებად.

**დედათა საეპარქიო სასწ. ტაძრის** დღესასწაული 21 გიორგობისთვეს, დიდის ამბით იქმნა გადახდილი. მწირველი იყო საქართველოს ექსარხოსი მ. ყ. უ. პლატონი.

**ეპისკოპოსმა კირიონმა** საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს შემოსწირა სხვა და სხვა ნივთები და ერთი პარკი ძველის ფულებით სავსე. შემოწირულება უკვე გადასცა პეტროგრადიდამ ჩამოსულმა მღვდელმა იოსებ ჩიჯავაძემ საზოგადოებას.

**კავკასიის საერობო პროექტი.** ხმები დადის, რომ მეფის ნაცვლის კანცელარიის მიერ შემუშავებულ კავკასიის ერობის პროექტს საფუძვლად უდევს უმცირესობის (სომეხთა) მიერ გამოთქმული აზრი. ამ პროექტით თბილისის მომავალ საგუბერნიო საერობო საბჭოში ქართველი იქმნება 22 კაცი, ხოლო სომეხი—24.

**მეფის ნაცვლის** კანცელარიის დირექტორს ისტომინს, როგორც გავიგეთ, უმაღლეს თანამდებობაზედ ნიშნავენ. მის ალაგას გადმოჰყავსთ ერევნის გუბერნატორი სტრელბიცკი, რომელსაც ქართველი საზოგადოება კარგათ იცნობს, როგორც ავტორს ხიზნობის სალიკვიდაციო კანონპროექტისას (ქართველთა წინააღმდეგ მიმართულისას).

### ქუთაისი.

16 გიორგობისთვეს ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსმა პლატონმა მრავალ ხალხის თანადასწრებით აკურთხა ახლად გახსნილი ქუთაისის სასულიერო სემინარია.

### დ. ხოპი (ზუგ. მაზ.)

დაბა ხობში გადასწყვიტეს სამეურნეო სკოლის დაარსება. ხობის საზოგადოებას აღუთქვამს დაუთმოს მიწა სკოლისათვის და სასკოლო შენობის აგებაშიაც მონაწილეობა მიიღოს.

### ზესტაფონი.

ეს ერთი ხანია, ბ. მაჭავარიანი ზესტაფონში ჰყიდის ქუთაისის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სახელით სიმინდს ფუთს 1 მ. 35 კ., სიხარულიძე კი ამავე დროს 1 მ. 20 კ. ჰყიდის.

— კვირას, 13 გიორგობისთვეს საგვარეულო აკლდამაში დაკრძალეს დეკანოზ დ. ლამბაშიძის მეუღლე, დედა ვახთანგ ლამბაშიძისა, ოლღა ნიკოლოზის ასული. განსვენებული სათნო ადამიანი იყო. ცნობილი იყო თვისის ნიჭით, ქველმოქმედებით, იშვიათი სათნოებით და დარბაისლობით. იგი თუმცა მამით რუსი იყო, მაგრამ დედით ალექსანდრე ყაზბეგის ახლობელი ნათესავა იყო. საოცარი მოყვარული იყო ქართული ეროვნებისა და ეს გრძნობები ჩაუნერგა, როგორც ოჯახს, ისე მახლობელთაც. წირვაზე და წესის აგებაზე მრავალი ხალხი დაესწრო. წარმოითქვა სიტყვები. სიტყვები წარმოსთქვეს მღ. ი. ცქიტიშვილმა, ქ. ანთაძემ, გ. აბაშიძემ, მასწავლებლებმა: ბ: კვლენჯერიძემ და ს. ჩხაიძის ასულმა.

### სარაყამიში.

ნოემბრის ათს შესაზარი ამბავი მოხდა. სარაყამიშში (ყარსის ოლქში) მუშები, (მომეტებულად ქართველობა) სარაყამიშის მახლობლად მუშაობდნენ, დინამიტებით შოსეს გზის საჭიროებისათვის კლდესა სტეხდნენ. სადილობის დროს დაბრუნდნენ თავიანთ ბინაზედ. ერთ მათგანს ორმოდან ამოღებული და გაყინული დინამიტები ჰქონია, იქვე ახლოს ყოფილა ღუმელი, ზედ ჯოხები დაუწყვია და ჯოხებზედაც დაუდვია რამოდენიმე დინამიტი გასათბობათ. დინამიტი მეტად გამთბარა, გამსქდარა და დაუხოცნია 42 კაცი მუშა, 8 კაციც დიდათ დაზიანებულა, ორი კი გადარჩენილა რაღაც სასწაულით. სულ ყოფილა 52 მუშა, ეს მუშები ყოფილან მოიჯარადრე ვასო რცხილაძის ხელში და იმ დახოცილებში მისი ძმაც (კოტე) ურევია თურმე.

# სახელმწიფო სათათბირო

### ტრეპოვის სიტყვა.

19 გიორგობისთვეს გა ხსნა სათათბიროს სხდომა; იგი დაიწყო მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის, ტრეპოვის, სახელმძღვანელო სიტყვით. ტრეპოვმა პირველად ის აღნიშნა, რომ 28 თვე სრულდება, რაც გერმანელთა მიერ დაწყებული ომი მძინვარებს; რუსეთი არ დასთანხმდება ზავს, სანამ არ გაიმარჯვებს; უკანასკნელ ჯარის კაცს დავაყენებთ თოფქვეშ, მთელ სახელმწიფო ქონებას გავსწირავთ; მაგრამ ომს ბოლომდის მივიყვანთო; სახელმწიფოს დაცვისათვის მთავრობის გარდა დიდი უნარი გამოიჩინეს ერობამ, ქალაქებმა და საზოგადოებრივ დაწესებულებებმა, რასაც მთავრობა დიდათ აფასებს და ხელსაც 'შეუწყობს; მთავრობის ხელმწიფება ძლიერი და უდრეკი უნდა იყოს; სასურსათო საქმის წესრიგი უნდა გადაისინჯოს: შესაძლოა ნებადართვის და აკრძალვის წესს მოვშორდეთ და სავაჭრო გაცვლა-გამოცვლას მეტი თავისუფლება მივანიჭოთ; საჭიროა სარკინიგზო მიმოსვლის მოწესრიგება, ახალ გზათა შენება, აგრეთვე ლითონისა და სათბობი მასალის მეტი დამუშავება.

„ომის შემდეგ ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს თვითმყოფი, ყოველივე თავისი საჭიროება თვითონ რომ დაიკმაყოფილოს; ომი საშინელებაა, მაგრამ მას განახლებაც მოაქვს თან; ბრძოლის ველებზე ახალი სიცოცხლე იშვება; ჩვენი სახელმწიფოც უნდა განახლდეს, აღორძინდეს და თავი გაინთავისუფლოს იმ უცხოელთაგან, ჩვენი ძალების განვითარებას ხელს რომ უშლიან; ომს დიდი ეკონომიური აყვავება მოსდევს; მოვალენი ვართ, რომ თავგამოდებული, მუყაითი შრომით ნიადაგი დავუმზადოთ; საქმე ბევრია; თქვენ, ხალხის წარმომადგენელნო, შემოქმედებით მუშაობას მოგიწოდებთ; ქვეყნის სარგებლობა იმას მოითხოვს, ყოველივე დავა და შუღლი ჩვენ შორის რომ მოისპოსო".

მთავრობას ჰსურს კანონმდებ დაწესებულებებთან ერთად მუშაობა და იმედია, რომ სათათბიროც ამავე გზას დაადგება; უნდა მოვაწყოთ საომარი მასალის ქარხნები და ფაბრიკები; უნდა მოვაგვაროთ სწავლა-განათლების საქმე, განსაკუთრებით გვჭირია პროფესიონალი სკოლები; უნდა ავსწიოთ ხალხის კულტურული დონე; უნდა მოვამზადოთ მშვიდობიანი შრომისათვის საჭირო ლაშქარი და მივცეთ მას ხელში იარაღი ცოდნისა და ჭკუის განვითარებისა, სამშობლოს სიყვარულით გამთბარისა და ეროვნულ მიზანთა სწორი წარმოდგენით განათებულისა.

მთავრობა მომხრეა, რომ საერობო ერთეულის და საქალაქო თვითმართველობის საკითხი მალე გარდასწყდეს; უფრო ფართო პროგრამა შეუძლებელია, რადგან რა ვიცით, მიუდგება თუ არა ახლა, ომის დროს, გამოცემული კანონები, მშვიდობიანობის ხანას; მორიგი საქმეები კი ასეთია: ხარჯთ-აღრიცხვის და სარკინიგზო შენობების გეგმის შედ[illegible] ვაჭრობა-მრეწველობის [illegible] წესრიგება, ქვეშევრდომობის საკითხი, **კავკასიაში ერობის შემოღება**, გადამდებ სნეულებებთან ბრძოლა, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება იმ წყალვარდნილებისა, რომელთაც ძალის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს და სხვა ასეთი.

ჩვენ კიდევ დიდი ხნის ბრძოლა გვმართებს, რომ გავიმარჯვოთ; მტერისგან დაკავებული პოლონეთის სამეფო უნდა დავიბრუნოთო, აგრეთვე ის პოლონური მიწებიც უნდა დავიპყროთ, გერმანეთს და ავსტრიას რომ ეკუთვნის, და შევქმნათ თავისუფალი პოლონეთი მის ეროვნულ საზღვრებში, მაგრამ რუსეთთან შეკავშირებით.

ჩვენი მოკავშირეებმა უკვე 1915 წელს შეგვპირდნენ, რომ დარდანელების სრუტე და სტამბოლი რუსეთს მიეკუთვნებაო, ამგვარად ჩვენ გვეძლევა თავისუფალი გზა ხმელთა შუა ზღვისაკენ; რასაკვირველია, ჩვენ თავისუფალ გზას მივცემთ რუმინელებსაც, დაბოლოს ტრეპოვმა კვლავ მოუწოდა სათათბიროს მთავრობასთან შეთანხმებით იმუშავეთ და გამარჯვებისაკენ სვლა გაგვიადვილეთო.

ტრეპოვის შემდეგ ლაპარაკობს პურიშკევიჩი. იგი ყურადღებას აქცევს იმ საწინააღმდეგო განწყობილებას, რომელიც სუფევს ფრონტსა და ჯარის ზურგს უკან. ფრონტზე აღფრთოვანებაა, ჯარის ზურგს უკან კი სევდა. სათათბიროს ტრიბუნას ხალხი რწმენით ეპყრობა, ამიტომ აქ ნათქვამმა სიტყვამ ხალხის ყურს უნდა მიაღწიოს. ყოველგვარი ცდა სიტყვის თავისუფლების შესაზღუდად—ბოროტებაა. მიუხედავად იმისა, რომ ორატორი მემარჯვენეების ფრაქციას თავს ანებებს, თავის მემარჯვენეებზე მემარჯვენედ სთვლის. მაგრამ ხალხის ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი მომენტი, არა თუ ამ ტრიბუნიდან უნდა ითქვას სრული სიმართლე, არამედ ავიდეს დიდ ივანეს სამრეკლოზე და ჩამორეკოს ზარი და ამცნოს ყველაფერი. მთელს ხალხს და სათათბიროს ჰსურს გამარჯვება. მაგრამ მთავრობის ქაოსმა დაარღვია და დეზორგანიზაცია შეიტანა ჯარის ზურგს უკან. მთავრობის წევრთა საქმესა და სიტყვას შორის დიდი წინააღმდეგობა ჰსუფევს. კარგი სიტყვები მოვისმინეთ, მაგრამ ფაქტები წინააღმდეგ ლაპარაკობს. ყოველი უარყოფა სეპარატიულ ზავის შესაკრავად იმის მაჩვენებელია, რომ არის ვიღაც, რომელსაც ჰსურს სეპარატიული ზავი და სცდილობს კიდეც სისრულეში მოიყვანოს. ჩვენს მოკავშირეებს ასეთი გამხრწნელი სურვილი არა აქვთ. წინად ვამბობდით საჭიროა მთავრობის ნდობა საზოგადოებისადმი, მაგრამ ეხლა არა თუ ამის თქმაც არ შეიძლება, პირიქით საეჭვო ხდება მთავრობის ავტორიტეტი და მისი მამულიშვილობა. მემარჯვენეებს ჰსურთ მთავრობასთან მუშაობა, მაგრამ რას აკეთებს თვით მთავრობა, გარდა იმისა რომ აულია წითელი კარანდაში და სიტყვებს ჰშლის. შემდეგ ორატორი ამბობს, რომ ასეთს უწესოებას ხალხი ვერ მოითმენს, რადგან ხალხმა იცის რომ ეს მოწინააღმდეგისთვის არის ხელსაყრელიო. ორატორი არკვევს მთავრობის მოქმედებას და აღნიშნავს მრავალ წინააღმდეგობას უწყებათა და თათბირთა შორის. შემდეგ ეხება სურსათის საქმეს და აქაც მთავრობის მოქმედებაში სრულს წინააღმდეგობას ჰხედავს.

სალამოს თერთმეტის ნახევარზე კრება იხსნება. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჰსურს განმარტება მოახსენოს, მაგრამ ასტყდება ხმაურობა და იძახიან: „ძირს"! თავმჯდომარე მოუწოდებს დაწყნარდითო, მაგრამ არ წყნარდებიან. საქმე იქამდის მივა, რომ ჩხეიძეს, სკობელევს, კერენსკის და ხაუსტოვს 8 სხდომაზე დასწრებას აუკრძალავენ და გამოსდევნიან.

კერენსკი ამბობს: თუ გაგვდევნით, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ სათათბირო ხალხს ვერ იხსნისო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტრიბუნაზე გამოჩნდება. კვლავ ასტყდება ხმაურობა. თავმჯდომარე ჩხენკელს მოუწოდებს წესიერება დაიცავიო. ჩხენკელსაც 8 სხდომიდან სდევნიან. ყოველ გამოდევნილს გასამართლებლად სიტყვის ნებას აძლევენ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლაპარაკის დროს წამოხტა სუხანოვი და სიტყვით მიჰმართა დეპუტატებს. მოუწოდეს წესიერება დაიცავიო, მაგრამ არ გაჩუმდა. სათათბიროს თავმჯდომარე იძულებული შეიქმნა სათათბიროს დადგენილების სისრულეში მოსაყვანად პოლიციისთვის მიემართნა.

თათბირის შეწყვეტის შემდეგ სუხანოვი თავის ნებით გავიდა.

# ქართული სახლი მოსკოვში

ქართული სახლი შორეულ უცხოეთში, სადაც ათასი ქართველი ყმაწვილი ქალი და კაცია გადახვეწილი სასწავლებლად, სადაც ყველაფერი უცხოა და ცივი, სადაც უცხოელი სული და გული დახშულია შეხიზნულისთვის, სადაც ბევრჯელ შიმშილი, წყურვილი და უბინაობა ანადგურებს ჩვენს ახალგაზრდობას, სწორედ ის სანატრელი ნავთსაყუდელია, რომელსაც ცხოვრების აბობოქრებულ ზღვაზედ მებრძოლი, დაქანცული და მოცახცახე, პოულობს და მშობლიურ თბილ კერაზედ ითბობს გაყინულ გულმკერდს და სულს ობოლს შვებას აძლევს.

ქართული სახლი, ეს ის კერაა, სადაც ქართველი ახალგაზრდა თავის მოძმეს მშობლიურ ენაზედ გაუზიარებს თავის აზრს, თავის იმედებს, თავის გულის მწუხრს; სადაც საერთო ძალით შემუშავდება გეგმა მომავლის ცხოვრებისა, საიდგანაც ხმას გასცემს, ხმას ძრიელს, შეკავშირებულს და ერთსულოვანს, სამშობლოს ძახილს, ძახილს სიკვდილ-სიცოცხლისას...

დიახ მოსკოვის **ქართული სახლი** სწორედ მშობლიური კერაა. ახლად მოსული ყმაწვილი ცივ რუსეთში აღარ განიცდის იმ სულიერ ქეჯნას და შავ სევდას, რომელიც თან ახლავს მარტოდ-მარტო, უგზო-უკვლოდ თვალუწვდენელ ქალაქში ხეტიალს, როდესაც უცხოთა შუა დაეძებს თავშესაფარს, მეგობრულ ხელს და სამაგიეროდ, ხშირად, აწყდება ვინმე ზნეობრივ საპყარს და ჩირქს იცხებს, ჰუჭყიანდება საუკუნოდ.

ქართული სახლის შაბათები, რომელზედაც თურმე დაიარება მთელი მოსკოველი ახალგაზდობა, სწორედ დღესასწაულია ყველასათვის. აქ უკრავენ, მღერიან, თამაშობენ, ლაღობენ და კისკასობენ, ლხინს ეძლევიან და ლხინი ხომ ქართველის ბუნების მოთხოვნილებაა, იმისი სიცოცხლის სიყვარულის დაუშრეტელი წყარო!

სხვა რომ არა იყვეს რა აქ ხვდებიან მოსწავლე ახალგაზდა ქალი და კაცი ერთმანეთს და ეს დაახლოება, კარგად გაცნობა და მეგობრობა, შეიძლება მეუღლობის კავშირადაც გადაიქცეს და ის თითქმის ეპიდემიური მოვლენა, რომ ჩვენი ყმაწვილები რუსის ქალებთან ქორწინდებიან და მომავალ თაობას სრულ გადაგვარებას უმზადებენ, ცოტად მაინც შესუსტდება.

გარდა ლხინისა და ერთურთ გაცნობისა, ქართულ სახლში ქართველებს აქვთ ქართული ბიბლიოთეკა, ჟურნალგაზეთები, ხშირად კითხულობენ რეფერატებს სხვა და სხვა კითხვებზედ, ნიჭიერთა წევრების ნაწარმოებს, ექიშპებიან ერთმანეთს ლექსთა დეკლამაციაში, სცენების კითხვაში, ზოგჯერ რუსულ ლიტერატურულ შედევრებსაც ეცნობიან...

იჰ! რა კარგი იქნებოდა, რომ ეს პატარა და ერთფეროვანი სადგური უფრო ვრცელი, უფრო ლამაზი და გაჩირაღდნებული ყოფილიყო, თავის პატარა სცენის მოწყობილებით! მაგრამ რაც არის ისიც დიდად ძვირფასია და დიდი მადლობის ღირსია ჩვენი ცნობილი ქველოქმედი ზუბალაშვილის ოჯახი, რომელიც უხვის შეწირულობით ხელს უწყობს, როგორც ქართულ ლაზარეთს, ისე ამ მშვენიერ დაწესებულებას. რასაკვირელია, დიდ ამაგს სდებენ და თვისდა სასახელოდ ერთგულად ჰპატრონობენ ამ საქმეს ჩვენი სახელოვანი დრამატურგი ალექ. სუმბათაშვილი და მისი თანამობედნი ექ. ზანდუკელი, ექ. ასათიანი და ბევრი სხვა გულშემატკივარნი ქართველნი.

რა კარგი იქნებოდა, რომ რუსეთის სხვა ქალაქებშიაც დაწესებულიყო ამგვარი რამ თავშესაფარი, სადაც აქაიქ გაფანტული დაცალკევებული ქართველობა, შეერთდებოდა ერთის აზრით, ერთის ლტოლვილებით და შეკავშირებით მოიპოებდა ძლიერებას, რაც ასე საჭიროა ქართულის საქმისათვის.

ეკ. გაბაშვილისა.

# ძვირფას ამხანაგის ევე-ლინა წუწუნავას ხსოვნას

ჩემო ძვირფასო ეველინა, ორმოცი დღე სრულდება, რაც უკანასკნელად დახუჭე თვალები, ეგ სიცოცხლით სავსე, მკვირცხლი, ჭკუით მოციმციმე თვალები. უკანასკნელი სალამიც კი ვერ გითხარი, ასე დაშორებულმა მანძილით, მაგრამ მაინც შენთანა ვარ, შენთანა ვარ სულითა და გულით. რამდენს მშვენიერს წუთებს მაგონებს შენი სახელი, რამდენი სპეტაკი სურვილები, რამდენი დაუკმაყოფილებელი გატაცება წაიღე თან! ვერ მოესწარ განახლებულს თეატრს, ეგრე გულწრფელად რომ გიყვარდა, რომლის სამსახურში იმდენ გემოვნებას, იმდენ სულის სინაზეს რომ იჩენდი! რავდენ სიფაქიზეს და გულმართლობას მალავდა შენი ეგ გარეგნად ვითომ უკმეხი სახე; როგორ მიყვარდა შენი შეუპოვარი სული, ჭკუა-მახვილი, ჰუმორით სავსე ლაპარაკი! რა მშვენიერს ახალს ძალას წარმოადგენდი, ჩემო კარგო, და რა ულმობლად, უდროვოდ დაგაჭკნო წყეულმა სენმა. ჯერ უცნობი იყავი ფართე საზოგადოებისთვის, მაგრამ შენმა გულითადმა მეგობრებმა ვიცოდით, რომ შენ დიდს ადგილს დაიჭერდი მშობლიურ სცენაზე, შეიქმნებოდი ხალხის საყვარელი მსახიობი. თამამად შემიძლიან ესა ვსთქვა, რადგან ისე მახლობლად ვიცნობდი შენს მუშაობას. თავის დღეში არ დამავიწყდება სოხუმის სეზონი და მით უმეტეს, ბათომის „მოგზაურ" დასში შენთან მუშაობა.

ვისაც უნახავს შენი „სალიხე" „ვინ არის დამნაშავე"-ში, შენი „ქრისტინე" და პატარა „ვასიკო" („მორევში"), დამეთანხმება, რომ ეროვნულ ტიპების განსახიერებაში მშვენიერი იყავი და დიდი მომავალი გელოდდა... როგორი ხანმოკლე იყო შენი ოცნება, რომ ოდესმე განახლებულს, სულ სხვა პირობებში მდგომარე თეატრში მოგვიხდებოდა მუშაობა.

...და ვაი რომ დასჭკნა ეს ყვავილი.

ელო ანდრონიკაშვილი.

# ეროვნული თეატრი

ისე ბევრი თქმულა და დაწერილა ეროვნულ თეატრის დიად მნიშვნელობაზე, რომ აქ აღარ მსურს შევაჩერო მასზე მკითხველის გულის ყური. ვიტყვი მხოლოდ, თეატრი ჩვენისთანა ერისათვის არამც თუ მარტო სკოლაა ცხოვრების სურათების გადამშლელი, ზნეობრივათ აღმზრდელი და ესტეტიურ სიამოვნების მასხურებელი, იგი უმთავრესად **ჩვენი სამშობლო ენის ამბიონია.** დიდი თამარის და შოთას ციური ენა დღეს, სავალალოთ, უხეშათ დევნილი სკოლა-ეკლესიიდან, სასამართლო-უწყებათაგან და აბუჩათ აგდებული თვით ზოგიერთ ქართველ თავად-აზნაურთა ოჯახებში, მხოლოდ ეროვნულ თეატრში ჰპოულობს მყუდრო სავანეს და შლის თავის ფაქიზ ფრთებს.

— აი, ამაშია უმთავრესათ ქართველი ერისათვის მელპომენას ტაძრის დიადი მნიშვნელობა! ეს უნდა შეიგნოს ნათლად ყოველმა ფხიზელმა ქართველმა, ვისაც კი უყვარს თავის დევნილი ენა და წამებული სამშობლო, ვისაც კი აქვს ოდნავ ეროვნული შეგნება!

დღეს რას ვხედავთ! საქართველოს დედა ქალაქებში, თბილისსა და ქუთაისში, **თეატრის შენობა არ მოგვეპოვება.** თბილისში ცეცხლმა იმსხვერპლა იგი ამ სამი წლის წინათ, ქუთაისში კი თეატრის ნაცვლად აგებულია რაღაც ბალაგანი. ასეთ პირობებში ვერ განვითარდება ქართული დრამატიული ხელოვნება, ვერ ისაზრდოვებენ ქართველი მსახიობნი, ვერ გაშლის ფრთებს ქართული ენა.

ყოველისავე ამის დამამტკიცებელი საბუთია ის, რომ ჩვენი საზოგადოება გაურბის ქართულ წარმოდგენებს და ნაცვლად მიისწრაფვის გამხრწნელ სინემატოგრაფებსა და რუსულ თეატრებში, იქ სცლის თავის ჯიბეს, იქ ეფლობა გადაგვარების მორევში, იქ იწამლება მისი სული... ამავე დროს კი ჩვენი მშიერ-წყურვალე მსახიობნი შეფარებიან ქართულ თეატრის ნანგრევებს, ვით ჟღვჟავნი ძველ ციხედარბაზს, ან დაწრწიან სხვა და სხვა კუთხეში, ლუკმა პურის მაძიებელნი. ისინი წარმოადგენენ რაღაც ვოგს, ბოგანო არტისტებს.

ასეთ პირობებში, ეჭვი არაა, ეცემა ჩვენი დრამა, ფერხდება ენის განვითარება და ეროვნული შეგნება, რითაც დიდი ზიანი ეძლევა ქართველი ერის კულტურას.

აი, რას უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება, როგორც ჩვენმა კულტურულმა ორგანოებმა და განსაკუთრებით დრამატიულმა საზოგადოებამ, ისე ჩვენმა სადეპუტატო საკრებულომ, პრესამ და ინტელიგენციამ!

ჩვენი დრამა, ჩვენი დრამატიული ხელოვნება ვერ აყვავდება ისე, თუ არ გვექნა თბილისსა და ქუთაისში შესაფერი სათეატრო შენობანი, საკმაოთ ვრცელნი, ლამაზნი და მოხდენილნი. **ქართველმა ერმა უნდა შექმნას ისინი.** ამ ორი თეატრის აგებას კი დასჭირდება დღეს არა ნაკლებ 4 მილიონი მანეთისა.

— საიდან ვიშოვოთ ეს ამოდენა ფული?

ქართველი ერი, საბედნიეროთ, გამოვიდა უკვე მცონარობის ბნელი ბურუსიდან, შესდგა ფეხი თვითმოქმედების და დოვლათის შეძენის ნათელ სფეროში. დღეს ქართველი ერის სულში ყალიბდება ეროვნული შეგნება. იგი გამოდის თან და თან სხვა და სხვა იზმების ჯანყიდან, დგება რეალურ ნიადაგზე. მიუხედავათ სულის შემხუთველი კირთებისა და დამღუპველი რეჟიმისა, იგი განიცდის შესამჩნევ წინსვლას როგორც ნივთიერს, ისე სულიერ სფეროში. ქართველი ერი იზრდება რიცხვით, ქონებით და კულტურულათ. მაშ მას უსათუოდ ეჭირება **განვითარებული თეატრი, შესაფერი სათეატრო შენობანი.** ამათ შესაქმნელად კი ქართველ ერს აქვს საკმაო შეძლება და საშუალება, განსაკუთრებით ახლა ამ უმაგალითო მსოფლიო ომის დროს.

ეს სამი წელიწადია, სისხლის ღვართქაფთან ერთად რუსეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთით სთოვს მილიარდებს. აქედან რამდენიმე ათეული მილიონი შეეძინა ჩვენს ხალხს. დღეს ფული გაიაფდა ყველგან და მხოლოდ დღეს არის შესაძლებელი შევკრიბოთ ჩვენში და რუსეთში საჭირო თანხა ორ დიდ თეატრის ასაგებად. სწორეთ ამ მსოფლიო ომის დროს, ამ ნაღმყუმბარების გრგვინვისა და ზარბაზანთა ბღავილის საშინელ ხანაში უნდა მოხდეს ფულის შეკრება როგორც მთელს საქართველოში ისე რუსეთშიაც თბილისსა და ქუთაისში ეროვნულ თეატრის ასაგებათ. იშვიათად ვიპოვით უკეთეს მომენტს! მხოლოდ ახლა შეუძლია ყოველ ჩვენგანს გაიმეტოს აბაზის ნაცვლად ერთი მანეთი და მანეთის ნაცვლათ ერთი თუმანი. ფული გამრავლდა, გაიაფდა საარაკოთ და მასთან ერთად გაათკეცდა ქართველის სიუხვე და დარდიმანდობა.

— ნეტა რა სახით უნდა შეიკრიბოს ეს ოთხი თუ ხუთი მილიონი მანეთი? ამის შესახებ ფრიად საყურადღებო რეცეპტს იძლევა ბ. თეატრის მეგობარი გაზ. „საქართველოს" № 235-ში. ეს გახლავთ **იაფ-ფასიანი ლოტარეა.**

იაფფასიანი ლოტარეა არ არის უცხო ხილი დასავლეთ ევროპაში. მას ხშირათ მიმართვენ ხოლმე როგორც მთავრობა, ისე საზოგადოებათა ორგანოები რაიმე დიდი საქმის გასაკეთებლად. თუ არ ვცდები, თვით ჩეხიაში უზარმაზარი ეროვნული თეატრი ააგეს ამგვარი საშუალებით. მაშ ჩვენშიაც შესაძლოა მივმართოთ ამ ლოტარეას, ხოლო საჭიროა **მთავრობის ნებართვა.** ამ ნებართვის აღება კი და საქმის მოწყობა უნდა იკისრონ ერთათ **თბილის-ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ, კულტურულმა კავშირმა და მარშლებმა.** ამის შესახებ უნდა გაიმართოს ეხლავე კრებანი და სერიოზული თათბირი. ჩვენის აზრათ, ლატარიის ბილეთი უნდა ღირდეს **თითო თუმანი** და ბილეთს უნდა ჰქონდეს **ათი თითომანათიანი კუპიერი,** რომ ფართო მასას შეეძლოს შეიძინოს თითო კუპიერი მაინც, მით შეიტანოს თავის წვლილი მელპომენას საერო ტაძრის აგებაში და მიიღოს მონაწილეობა ბილეთიან მოგებაში.—ადამიანის ბუნება ასეთია: მას ხიბლავს ყოველგვარი მოგება, ყოველგვარი ლოტარია; იგი ამაში სცდის თავის ბედს. ეს ერთგვარი სპორტია. ამიტომ ლატარეას მუდამ მრავალი მუშტარი ჰყავს, მეტადრე თუ მოგების შანსი დიდია, და ჩვენც უნდა ვეცადოთ ამას.

უნდა გამოიცეს **5 მილიონი მანეთის ბილეთები,** რიცხვით 500.000 მან. მოსაგებათ უნდა გადიდოს **ნახევარი მილიონი მანეთი.** ამ მოგებას უნდა მიეცეს დემოკრატიული ხასიათი, ე. ი. არ უნდა იყოს შიგ დიდი მოგებანი, ნაცვლათ უნდა მოეწყოს რაც შეიძლება ბევრი წვრილი მოგებანი, რომ ყოველი 50 ბილეთის ერთი მოგება მაინც შეხვდეს. ამრიგათ საერთო რიცხვში უნდა იგებდეს დაახლოებით 10.000 **ბილეთი** შემდეგი სახით:

| | | |
|---|---|---|
| 1— | 25.000 მან.— | 25.000 მ. |
| 5— | 10.000 მ.— | 50.000 მ. |
| 10— | 5.000 მ.— | 50.000 მ. |
| 45— | 1.000 მ.— | 45.000 მ. |
| 100— | 500 მ.— | 50.000 მ. |
| 1000— | 100 მ.— | 100.000 მ. |
| 2200— | 50 მ.— | 110.000 მ. |
| 7.000— | 10 მ.— | 70.000 მ. |

სულ 10.361 ბილეთი—500.000 მან.

ჩვენ აქ აღვნიშნეთ მხოლოდ სხემა, ჩონჩხი, დეტალური შემუშავება კი და ამა თუ იმ ცვლილების მოხდენა კომისიის საქმეა.

ამგვარად ფულის შეკრება არ გახლავთ რაიმე მიუღწეველი რამ, ოცნების ფუჩუტა ყვავილი. ამის განხორციელება შესაძლებელია; ხოლო საჭიროა შეერთებული მოქმედება და ბეჯითი მაცადინობა. ესა თუ ის დაბრკოლება ნუ შეგვაფერხებს, ნუ გაგვიტეხს გულს!

ბატონებო, ქართული თეატრი განსაცდელშია! იგი განიცდის დღეს მძიმე წამებს, უსაშინელეს კრიზისს. საჭიროა დროით შველა, მედგარი დახმარება!

„რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა", ბრძანებს უკვდავი შოთა. ახლა გვიჭირს და ახლა გვინდა გონებანი! მოვუწოდებ საქართველოს კულტურულ ორგანოებს; მოვუწოდებ ყველა შეგნებულ ქართველს, ვისაც კი უყვარს თავის ერი. ერთი უდიდესი საერო საქმე **თეატრის შენობის აგებაა...** შეკრიბეთ საჭირო თანხა, ააგეთ თბილისსა და ქუთაისში ასეთი შენობანი და ამ სახით თქვენ ააყვავებთ ჩვენს დაცემულს დრამატიულ ხელოვნებას, თქვენ შეაყვარებთ ქართულ თეატრს ქართველ საზოგადოებას, თქვენ მისცემთ სახსარს ქართველ მსახიობთ, თქვენ ააფრთოვანებთ ქართულ ენას, თქვენ აღზრდით ეროვნულ ნიადაგზე ქართველ ხალხსა და ახალგაზდობას...

სიმონ ქვარიანი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
### მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, 8 „ | 58 | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 6 „ | 24 „ | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. № 3***, | 8.10 | დილ. |



## სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით".** ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს** ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შუშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 **отд. 3.** მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეფისის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—



ღვინის საწყობი
# ნიკო გ. სესიაშვილისა
— იყიდება ბოლხაურეჯ ფასებში საუცხოვო ნამდვილი —
# კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
—— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ——
(185—წ.)



პირველ ხარისხოვანი რესტორანი
# კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური ხაჭმელები, კარაჭზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.



ამხანაგობა
# „კახური მეღვინეობა"
## ჩუგუნიშვილისა და სონღულაშვილისა
კირკის (კიროჩნი) ქუჩა, № 12.
საკუთარ მამულებიდგან მივიღეთ საუკეთესო ღვინოები,
თეთრი და წითელი, გურჯაანიდან, ვეჯინიდან
და კახეთის სხვა ღვინით განთქმულ სოფლებიდან.
(თ.)



## „სორაპნის" გამოცემა
დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება ყველგან საქართველოში
### კედლის კალენდარი
შედგ. მ. გაჩეჩილაძის და გრ. სვ. ჩარკვიანისა
ფასი 70 კაპ.
### სახალხო კალენდარი
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ფასი 30 კაპ.
# 1917

„პარტიით" მყიდველებს შეუძლიანთ მიმართონ: Тифлисъ, Типографія „Сорапань" М. Гачечиладзе და ქუთაისში წიგნის მაღაზია თ. მთავრიშვილისა.

გაფრთხილება. ჩვენი კალენდრის მყიდველების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ კოოპერატიულ ამხანაგობა „განახლება"-ს გამოცემულ კალენდართან, ჩვენ გამოცემას არაფერი საერთო არც ჰქონია, არც აქვს და არც ექნება.
(12—252—3)



# ახალი უებარი საშუალება და ახალი გამოგონება

საგანგებოთ ქალთა წამლობა. ვისაც თეთრანა (სუსუნატი) და ნორმალური რიგი აქვს ქავილითა, ვურჩევთ იყიდონ შესაშხაპუნებლათ ადვილათ გასახსნელი კვერები **„ალბინი"** და აბები **„უროზინი"** (სუსუნატის წინააღმდეგ) პროფესორის დოქტორის **აროკეონისა.** კვერები „ალბინი" მარგებელია და შესაშხაპუნებლათ შეუძლიათ იხმარონ აგრეთვე კარგათ მყოფ ქალებმაც. დღეში ორჯერ, სქესობრივ კავშირის შემდეგ, რომ არ შეიყარონ რაიმე ვენერიული ავათმყოფობა. ეს წამალი ნებადართულია **საექიმო საბჭოსაგან.** ფასი კვერებისა 3 მანეთია, აბებისა აგრეთვე 3 მან., რომ სუსუნატისაგან განიკურნოთ, საჭიროა 6 კოლოფი „ალბინისა" და 4 კოლოფი „უროზინისა". გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც, მხოლოთ ზედ უნდა გაუგზავნოთ 5 მან. წამლები უნდა შეუკვეთოთ მხოლოდ კავკასიაში წარმომადგენელს: Р. Я. Шмидтъ, Тхинвальская 12, Тифлисъ. (რ. შმიდტი, თხინვალის ქ. № 12, თბილისი).
(თგ.)



საუკეთესო კახური
# ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)



თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან
სტამბა „ცხოვრება" კილანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.